



იველი

1882

წელიწადი მეორე.

№ II, იანვარი.


თფილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ღორის-მელიქოვის ქუჩაზე.

1882

იანვრის წიგნის უძინაარსი.

- I. მე და ონისივე. მათხრობა . + მიხეილ ასათიანისა
- II. მოჩვენება (ლეჟსი) . . . პავლე კრეჭიაშვილისა
- III. სამწერლო ნატერა (ლეჟსა) გობრონ ღინელისა
- IV. საახალწლო ქიზიყელისა
- V. სუსტი და მძლავრი (ლეჟსი) ი. დ-სა
- VI. როდის იქნება. (ლეჟსი) . . ღ. რ—ზ—კ—ლისა
- VII. ქართული თეატრი . . . სტ. ქრელაშვილისა
- VIII. „იმედის“ კორრესპონდენცია
კანეთიდგან რაულ-დე-ლა-კრამბლესა
- IX. „იმედის“ კორრესპონდენ-
ცია ზუგდიდიდგან. . . . კიდევ ვიწყვისა
- X. შინაური მიმოხილვა . . . მ. გურგენიძისა
- XI. ახალი წიგნებთაგანი. მამუ-
ლის საერთო მიჯნაბუჯობაზედ
თხზულება ანტონ ფურცელაძი-
სა. თბილისი. 1881 წ. . . ჭაჭალასი
- XII. ზედაქციისაგან საყოველთაო
საყურადღებოთ
- XIII. განცხადებანი





ი მე დ ი,

ყოველ-თვიური

სალიტერატურო და საკოლიტიმო

ჟურნალი.

წელიწადი მეორე

იანვარი.

28




თფილის
ექვთიმე ხელაძის
1882





Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 января 1882 г.



მე და ონისიმი. *)

(მოთხრობა.)

ნაწილი პირველი.

(გაგრძელება.)

VI

რად ბევრი გაგაგრძელო, სოფიო ღ ილია—სიძის სახელი იყო—შეუღლდნენ ერთმანეთთან. ჯვარის-წერა პირველ სექტემბერსა ქქონდათ. ამ თვის გასვლებში კიდევ ჩამოვიდა ქალაქს მღვდლათ საკურთხებლათა. აღაკურდობის სწორსედ აკურთხეს მღვდლათა. რეგორც რიგი იყო, მან სადღელი გააკეთა კლესიას ბავში (ავლანბარში) და, სხვათა შორის, მეც დამშატიყა. აქ მადლობა გამომიტანდა, რომ იგეთი ქალის შეერთებით მე შენი მოხერხების მადლობელი უნდა ვიყო. აქვე რინისიძეს გამოუტანდა ისა, რომ შინაუტრებსედ შენ ესლა ჯვარი ნუღარა გექნება რა, უკვლას მე ვუპატრონებ და, ახა ვინძლო, შენ იმდენი იმეცადინო, რომ აკადემიაში წახვიდეო.

სიძის აგეთმა სიტყვამ სრულიად გამოცვალა რინისიძე. სოფიოს გათხრებით დადგა მისთვის სულ სხვა დრო. გულიდგან ბელტონავით ჩამოვარდა დარდი—დედის და სხვა

*) დასაწყისი იხილეო «იმედი» 1881 წ. № 5.

ობლები მზრუნველობა სიძეს აელა კისერზედ მან ონისი-
 ძე ყველაფერიდგან განათავისუფლა. ამითი აინსნება, რომ ის
 უწინდებულათ მეტათ განარებულ იყო. იმ დროებში მოვიდა
 ბრძანება, რომ სემინარელები აღარ უნდა იყვნენ მწერლათა-
 და მომარდა თავიდან ეს თანამდებობაც. დარჩა ხელ-მე-
 რეთ სწავლისთვის ხელის მოკიდება. იმ დროს ის ჩვენზედ
 ჩამოჩენილი იყო. მხუთე კლასში, გარდა ურთკების სწავლი-
 სს, სხვა არა გაუგებებია. თხულებსაც იშვიათათა სწავლად
 ხელმე და წიგნს ხომ საკითხავათ არ აიღებდა. გადმოვიდა
 მეექვსე კლასში მათე მაგისტრათა და, სწორეთ რომ სთქვას
 კაცი, იმის ღირსიც არ იყო. არ მისცემდნენ მას იმ ალაგს,
 რომ ეგზამენის დროს რექტორს არ მოსწონებოდეს მისი
 მიგებაები. ამბობდნენ, მწერლებს დაუნიშნავდნენ ხელმე ყვე-
 ლა საგნიდან თითო რამის დასწავლას და იმას ჰკითხავდნენ
 ხელმე ეგზამენის დროსა. ამიტომ ყველა მწერლები პირ-
 კულ რაზრადში ასრულებდნენ კურსსა. რამდენათ მართალი
 იყო ესა—ონისიმეს ეცოდინებოდა და მე ვი არ მიკითხავს
 მისთვის ღ აბა რაგორ გეტყვით ამზედ ტყუილსა. მაგრამ,
 გადმოვიდა თუ არა მეექვსეში, მიაწვა სწავლას ნიკოლა კამეჩი-
 ვით და თავს მალა აღარ იღებდა. კარგა შესვენებულად იყო
 და მასთან გრძნობდა, რომ ბევრს მოსცდა, ბევრი დაკარგა.
 რამდენჯერ დაიკრავდა ხელმე გულზე ხელსა და მწარეთ იტ-
 ყოდა არაბულ ანდაზას: „გასრულილს ისარს, ნათქვამ სიტყვას,
 დაკარგულ დროს კაცი უკან ვეღარ დაიბრუნებსა“. მიჭყო ხე-
 ლი სწავლასა ღ მალეც შეირიცხა უკეთეს მოსწავლეთა შორის
 — ერთ წელიწადზედ დაგოთანსწორდა კიდევს.

VII

მეექვსე გლასში შეგვხვდა ჩვენ ერთი პატრიოსანთაგანი მასწავლებელი ლოდიკის და ფსინოლოგიისა. მას მისცეს თანამდებობა, რაღა მერე წელიწადში გადავიდით. ლოდიკა გავლილი გექონდა, თუმცა ანაფრისგან ანაფერი ვიტრადი ამ საგანში. გვასწავლიდა ამ საგნებს საფუძვლიანათ. თხზულებებს გვასწავნიდა მეტათ კარგ ტემპებზედ. ასე მიგვიტარა, რომ ბუნებითი საგნების სწავლებას მივყავით ხელი.

იმ დროს მოვიდა ახალი ინსპექტორი კიკვიდგან და იმან უფრო გაგვამხნევა ამ საქმეში. ჩვენს გექონდა სემინარიაში პატარა ბიბლიოთეკა, რომელსაც „დათარეულ ბიბლიოთეკას“ ვუწოდებდით. ამ ბიბლიოთეკაში იყო წიგნები ყველა იმ დაწინაურებული მასწავლებლისა, რუსის თუ გარეშე ქვეყნულების, რომელნიც კი შესანიშნო იყვნენ და იზრებოდნენ რუსულ ენაზედ. ყოველ წელიწადს სექტემბერში რაღა ჩამოვიდოდით, თითო მანეთს შევეკრებამდით ხალხი კანცის თავზედ და ამ ფულით ვუმატებდით მას წიგნებსა. ამ ბიბლიოთეკის არსებობა იტოდა ინსპექტორმაც და მასზედ სიკარგის მეტს არას ამბობდა.—მივადექით ამ წიგნების კითხვას და ისე დავინვიპუნით მათგან ცოდნით, რომ ზოგიერთ მასწავლებელთაგანს უშინოდა ჩვენთან პირში შემობმისა. თხზულებების წრასაც მივყავით ხელი. ჩვენ თხზულებებს საკურკელებიდან გამომტყვანდა ფილოსოფიის მასწავლებელი და უარესად გვამხნევებდა. შეგვიყვარდა ჩვენ იგი, მას ჩვენ შეუყვარდით. მკრამ დიდ-ხანს ვეღარ იტოცხდა—ჭლექში ჩავარდა და თანაც გადაიქვს.



ონისიმეც გატაცებით კითხულობდა ახლა კი წიგნებსა; გულსმოდგინებით ეშურებოდა თხზულებების წერასაც; მაგრამ მანაც კელარ ავიდა პირველ ალაგზედ. ანტა ცდილობდა ის ამას. მისი ფიქრი ის იყო, რომ პატა მომეტებულა რამ შეეძინა, თორემ რა ალაგსაც უნდა წერებულყო, ამას მეტათ გულგრილათ უყურებდა. ეს იცოდა რომ პირველ „რასრიადას“ მას არ მოაშორებდნენ და პირველობა ან მეორეობა რა საჭირო იყო, მით მომეტებულათ, რომ იგი არა ფიქრობდა აწისათ წასკლასა, თუძვა კი ხანდასხან მოუვლიდა ხოლმე სურვილი „ქითეენაც“ (რუსეთში) წასკლისა. ის უფრო მომეტებულათ სწავლობდა ანატომიას, ფიზიოლოგიას და პოპულარულ მედიცინის წიგნებს. მასთან დაიარებოდა ჩემთან ანთუქასში და მთხოვდა ხოლმე, რომ მესწავლებინა მისთვის წამლების შედგენა. ის აზირობდა ძვედღათ წასკლასა, წინათ ხომ ამბობდა: „ქადაღების გაკეთების“ მეტი არა მინდა რა, ის გადაცვალა ესლა ამხედ: ძვედელს არა გამოადგება რა სოკულში ისე, რაგორც პატარათი მანც ჭეჭიმობს ცოდნა. ძვედლისთვის საჭიროა ანტონის ცოდნაცა, ხალხს ძლიერ უყვარს, რაც მას მეტებურ ამბავებს ეუბნებიანო. ძვედლისთვის აგრეთვე საჭიროა ჰედალოღის ცოდნა, რომ რიგიანათ სწავლას ხალხსაო. ძვედლისთვის საჭიროა მეურნეობაში პატათი მანც დახელოვნება, რომ ხალხს სწავლას ამბავც რამო. ამისთვის მიაქცია თავის ყურადღება ამ საგნების შესწავლასა. ამათში მარტო ჰედალოღის გვასწავლიდნენ. დანარჩენი სულ ჩვენთავათ დავიწყეთ სწავლა.

წავითხული ჩვენთვის უნაყოფოთ არ ჩაივლიდა ხოლმე, მით მომეტებულათ, რომ საცა კი რა და სამი სემინარიული თავს მოიყრიდა, ბაჯგონზე იქნებოდა თუ რათახებში, აუცი-

ჯებლათ აგვიტყდებოდა განადებულნი ბასი—ბასობა, რომელსაც ვეძსოდით „სზრასა“, იმ დროს მეტათ გაძლიერებული იყო ჩვენში—სხვა-და-სხვა ძალად კითხვებზე. მოდი და, თუ შეგიტყვიან რამ ამ საგანზე ან წაგიკითხნია, ნუ დაეჭვებულები რთავე ხელთ, რომ გამოიყენო და მოწინააღმდეგე იმ „ბაგ-ჯორას“, რომელიც ვიტყვოდით ხელმეძღვრის დამარცხებულზე.

ყველაზე შესანიშნავი და ნათესაური გავლენა იქონია ამ კითხვამ და ბასობამ ონისიმეზე. იმან ისე შეითვისა ყოველივე წაკითხული და გავიხილი, რომ რომელიც ის დაიწყებდა დასაწყისს, კაცს ეგონებოდა ყველაფერი იმას თითონს სცოდნის, თითონ უნახავს, თითონ გამოყვანილი და გამოგვრძენია და არა წიგნებიდან შეუძენიაო. უფრო მომატებულათ წერა უფროდა ონისიმესა. მას ჭქონდა შეკრული რამდენიმე რეკლეი. ამ რეკლეებს თავზედა ჭქონდათ წარწერილი ქართულათ შემდეგი: „ამ ქვეყანაზედ მატრო ერთი ადგილია ყველასათვის სასურველი—ადგილი მატროსანი კაცისა. რომელიც ახალგაზდობაშივე არ ეცდება მასზედ მოიყვრას, იგი დაჩნება საბოლოოთ ან რეგნათ, ანუ ავსაკათ“. ამ რეკლეებში სწერდა ხელმე იგი თავის ფიქრებს. სწერდა უფრო ქართულათ. აკეთი რეკლეები, სასოგადოთ ბევრსა ჭქონდა. ამ რეკლეებში ზოგი სწერდა ანგარიშს თავის-თავზე, ყოველ წიგნზედ, რომელსაც კი წაკითხავდნენ, თავის აზრს გამოხატავდნენ ხელმე, აგრეთვე ამოსწერდნენ, რაც აზრები, ადგილები მოეწონებოდათ მასში.

ქართულ, სამშობლო ენასაც, რომელიც სხვა ყველაფერს, ჩვენ ჩვენთავათა ვსწავლობდით უფრო. გაშმაკებით ვეძებდით ქართულ წიგნს და რა დროებისაც უნდა ყოფილიყო—ახალს თუ ძველს წაუკითხველს არ დავსტრავებდით, თუ კი ჩავკვი-

გარდებოდა ხელში. „ცისკარში“, „მასხრებელში“, „დროებაში“ და „მნათობში“ იზოკება ნიმუშები მასინდელი სემინარიელის კალმის ნაწარმოებისა. როგორც თარგმანი, აგრეთვე ორიგინალური სტატიებიც კარგა მონასხსობდა მათში. ერთმა ჩვენთაგანმა გომერის პოემასაც დაუწყო თარგმნა და ნახევარზედ მეტი გადმოიღო კიდევ მშვენიერი ქართული ლექსითა. სრულებითაც გაათავებდა, რომ ვიღასაც ხელი არ აუღებინებოდა. ეთქვა: გომერს ანაუთარხი მნიშვნელობა არ ექნება ჩვენ მწერლობაში და თავი გაანებო. მოკლე-მოკლე ლირიკული ლექსების მთხზველთ სომ რიცხვით არა ჰქონდათ. ამ საქმეში „კამჩატკელები“ უფრო დახელოვნებულნი იყვნენ. სემინარიაში იარებოდა რამდენიმე ხელთ ნაწერი რკეული, რომელთაშიც იყო სემინარისტების ლექსთა კრება. ყურნალი — ესმა უდაბნოდგანა, რომელშიაც გამოხეთქა სემინარიელი ტვირის ძალამ, სრულებით სხვა იყო.

ეგვალზედ მომეტებულათ ილია ჭავჭავაძე მოგვწონდა ჩვენს ახლანდელს მწერლებში. ეგვალ მისგან დაწერილი — თითქმის, ზეპირათ ვიცოდით. აკაკიც მოგვწონდა. მაგრამ ილიასთან მას ფეხი ვერ გაეწოდებოდა. ჭავჭავაძე მიგვაჩნდა ჩვენ დედა-ბოძათ, მამა-მთავრათ ჩვენი ახლად გაცნობილებული მწერლობისა. ჩვენის წარმოდგენით, ისე ანაკის შექმლო ჩვენსა ქართველი კაცის გულში, როგორც ილიას. მის ნაწერებში ვხვდავდით კაცის ნაღველს, დარდს, შიგ შუა გულიდგან ამოღებულს და გამოთქმულს ნამდვილი ქართული სიტყვით. არ დაგიძლავთ იმასაც, რომ ამ კაცის სიყვარული და პატივისცემა თითქმის გადმეჭრებამდე ადიოდა. უფრო მისთვის გვიყვარდა ეს კაცი, რომ მის სიტყვასა და საქმეს შუა წინააღმდეგობას ვერას ვზოკებდით, მაგიერათ, გვესმოდა, რომ

იგი არის გამახორციელებული თვისი ქადაგებისა. ხმა იყო, რომ მთელი დუშეთის მხრის ხალხი, სადაც ის მსახურებდა მას, უფრო გლეხ-კაცობა, თუ ვინაა დღეს და მასვე ლოცულობს. ვსტუმროდით ჩვენ მასთან, თუ მართლაც ვიყავით, — ეს სხვა კითხვაა; მე ვამბობ მხოლოდ მას, რაც მინახავს ჩემი თვალით და რაც გამოგონია ორთავ ჩემი უფრებით. ერთიც კიდევ არაა ეს კითხვათ. აღარ მახსოვს კი რადისა, და „დროებაში“ გამოვიდა წაგარეალის სტატიის მიუხედავად, თუ ვინაა დღეს გამოგონილი. ამ სტატიისში ის არჩევდა ჩვენ ახალ მწერლებს და ათავებდა ილიას ლექსების გაჩვენებას. იგი წუნსა სდებდა ზოგაერთა მის ლექსსა მით, რომ მათში სულ არჩევისა, გრძნობა კი არა ძვეს ანუ ნაკლებათა ძვესა. ავით არჩევდა ჩვენ ბევრი ვიციანეთ, თითქო სამასხარათადაც გაგვიხდა ზოგაერთი გამოთქმები სტატიიდან. მასთან გულისც მთავარი და, უპატიურათადაც მოექცნენ ზოგნი იმ ნომერს „დროებისა“. მზა ვიყავით პირში მივსწავდენილიყავით, გამოგვედრა, გავსწეროდი, რომ რათ ამოხ შენ მაგეთ სიტყუვეს, გმობას, რათა გვეჭრი თავსა. უფრო იმასვე გვიბრუნდებოდა გული, რომ ისეები გვეძირდა იმ კაცის პირიდან, რომელიც ჩვენი ბანაკიდან იყო გასული და რომელითაც ჩვენ თავი მოგვექნა და გოგარსავით.

სადილინათადაც უფრო ილიას ლექსები გვეჩნდა. უნდა გვეუფრებინათ ჩვენი სინარეულისათვის, როდესაც, სადილსა და ვახშამს შემდეგ, შემოუხსდებოდათ ხალხი გიტარას და გიტარებით დაკამახოდით — უფრო მომეტებულათ — „სტუდენტების სიმღერას“:

„დადამ რომ შეილი გაზარდოს,
 გამაგრე ჩვენი თანხა —“



ძმურათ გამოსადგენი ვართ
 ყველგან და ყველასთანაო!...

ეს ლექსი რომელიც იმ დროს ბეჭედში არ იყო ჟურნელში გამო-
 სული, ყველამ სუბინათ იცოდა და ფიცსაც სდებდა თავისთავათ,
 რომ გაეტარებინა, გაეხარებინებინა თავის ცხოვრებაში ის
 ჭაზრები, რომელიც მასში არიან გამოთქმულნი.

VIII

ონისიძე იყო ბუნებით მეტი კეთილი ახალ-გაზდა.
 იმისგან წყენა არავის მოაგონებოდა. ამასთან ამხანაგებზედ
 იყო მეტათ თავ-დადებული, რასათვისაც ყველას სემინარიაში
 ის ძვირად უყვარდა. მაგრამ მომეტებულათ საყვარელი იყო
 სასულიერო სასწავლებლის მონაწილეებისთვის. იმ დროს, რა
 დროების ამავსედაც მე ვლამარაკობ, სასულიერო სა-
 სწავლებელი იმყოფებოდა იმავე სახელში, რომელიც ესაა სა-
 კუთრად სემინარიას უჭირავს. თითქმის ყოველ საღამოთი ჩა-
 ვიდოდა ხოლმე დაბლა, შამოიხვევდა გარს ამ პატარა შვირ-
 დებს და ემუსაიებოდა მათ მეტათ განსრულები და მომცი-
 ნარნი სახით. უკეთესი მასწავლებელიცა და პატრონიც იმათ-
 თვის ონისიძე იყო: ვისაც რამ უძნელდებოდა, იგი გაუადვი-
 ლებდა ხოლმე, ვინც სიზარმაცეს მიჭყობდა ხელსა — ის იყო
 მომშლეკინებელი, ვინც დარდიანათ განდებოდა, ანუ ავით — ის
 იყო ნუგეშიცა და ყურის-მგდებელიც. ამხანაგებმა ამხელ „პა-
 ტარა სოკრატე“ დაუძახეს მას გამოცვლილ სახელათ.

არ შეიძლება გაცმა სთქვას, რომ ონისიძე ვითომც ყვე-



დას სჯობნებოდეს ან ნიჭითა და ან ცოდნით. ანა, იყვნენ
 სამნიც, რომელნიც მასვე სწავლაში მადლა იდგნენ, მაგრამ
 ყველა ამხანაგების თვალში ონისიძეს უფრო ფასი ჰქონდა და
 მის სიტყვა უფრო იყო ხელმე გავლენიანი, ვიდრე სხვისა.
 ეს უნდა აიხსნას იმით, რომ ონისიძე სხვაზედ ძლიერი იყო
თავისი ხასიათით. აკეთი მისი ხასიათი, თითქმის, შესაშურელი
 იყო. და თვით მეც, აბა რა დავძალა, მშურდა—მე, რომელიც
 გამტნეკვი ჩემს თავს დაუდგრომლობას, თუკრივით ტრიალს.
 ონისიძემ განიძრახა მღვდლათ წასვლა ორის წლის წი-
 ნით გურსის შესრულებამდე. ერთხელ, როდესაც წავეითხა მას
 „გლახის ნამბობი“, კარგა ხანი ჩაფიქრებული დადიოდა და
 ხმას აღარ იღებდა. მღვდელს, რომელიცა ჰყავს ილიას გამე-
 უვანილი ამ მოთხრობაში, ძრვილ ჩაებღუჯა ეს ვატი და თვა-
 ლიდგან თურმე ანა შერდებოდა. კვირა დილა იყო, გამეკვდით
 ჩვენ ბაღში „მყავ-თავის“ საყლაშავათ, როგორც მაშინ ვიტ-
 ყოდით ხელმე, და აი მაშინ გუთხარ ონისიძეს:—კაცო, რათ
ხარ ეს სამი-ოთხი დღეა მაგრე ჩათხრობილი და ხმის ამე-
ღობაც კი აღარ გინდა?

ონისიძეს ჯერეთ თითქოს არც კი ეწადა პასუხის მიტე-
 მა, მაგრამ მეც დაიწყო ასე:

— იცი, ვიორგი, როდის ეშუელება ჩვენ ხალხს?! მაშინ,
 ჩემო ძმაო, როდესაც გაუმრავლდება აი თუნდ მაგეთი მღვდლე-
 ბი, როგორიცა ჰყავს გამეუვანილი ჭავჭავაძეს „გლახის ნამ-
ბობი“. მხოლოდ აი მაგათთანა თავის სამწყსოზედ თავ-დადე-
 ბულ პირთ შექმლებათ ცრემლის მოწმენდა ჩვენი . . .
 ხალხის, მის ნუგეშის-ცემა . . . ვისაც ნამდვილათა სურს
 ხალხის შველა, . . . იფიქროს პირველათ სამღვდელე-

ბის წამოყენებაზედ, მის ღირსეულათ შემზადებაზედ თვის ძალი და მისი მხულებითვის, ჩვენს ხალხს ძლიერ მიახნდა სამკვდელო პიჩი; მისი სიყვარული და პატივისცემა ძლიანს ჭჭუნდა, ამიტომაც სულიერი მამის სიტყვა და დარიგება იურხოდმე უოველთვის მასედა გაკუნინანი, ძლიერი. ესედა არაყის შეუძლიან იმდენი კეთილის დათესა, მეტადრე სოფელ ალაგას, რეგორც მკვდელსა, რომლისათვისაც ხალხს მათრეხინა აქნობამდის კიდევ წინანდელი სახელი „მოდვარო“. მაგრამ ჩვენნი მოძღვრები, საუბედურათ, კარგა ხნის, ველარ მოძღვრობენ. ძრეელ დაბლა ჩამოჭკრეს მათ თავი, დაეცნენ ხალხის თვალში... ხალხმაც ამოითვალ-წუნა იგინი ჭესეც არის, რომ ბევრი გამოიფურთხება სოფელ კიდევს მათთან უცრათ შეხვედრის გამო. უფრო ეს უგანასხეული მოკლეა მეტათ სამწუნარო რამ არის და აი ამისგანაც ვიყავ მე ესე ფიქრით წალებული.

რნისიმე მელაპარაკებოდა დაბალი ხმით, მაგრამ მისი სიტყვები კი გამორკვეულად ისმოდნენ. სასოგადათ, იმან ლამაზი და დალაგებული ლაპარაკი იცოდა სოფელ. მეტადრე თუ სალაპარაკო საგანი მოსწონდა, ანუ «საოილასოფოსო» იურ, რეგორც მამინ ვიტყუდით სოფელ.

— მე რე ჩვენ რა ვქმნათ? ვკითხე მე, რადესაც შედგა იგი და, ეტყობოდა, აღარ უნდოდა ლაპარაკის გაგრცელება.

— ჩვენ ის უნდა ვქმნათ, დაიწყო იმან ცოტა ხნის შემდეგ და დაიწყო წინანდებულათ აუშიფოთებლივ, რომ გისაც ცოტათი არის მაინც ადამიანის ფერი გვამებს და ეცობოი. ბის სიყვარულში თავსა ვსდებთ, უნდა შევდგეთ მკვდელთა ჭ გაუნდეთ ხალხს ნამდვილი მამა, მოძღვარი, მწუემსი. ჩვენში სამწუნარო დიდია და ამ სამწუნარს ჩვენგანაც აქვს თვალები მო-

ქცეული, მოგვეყენე, რომ აი ეს არის გამოკლები, მომეპატრონებინა, მწვემსობას გამიწვევენ. ჩვენ კი ამას უურადლებას არც კი ვაქცევთ & მივრბივართ აქეთ იქით: ზოგნი მასწავლებლად, ზოგნი უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგნი სამოქალაქო სამსახურში ვბრუნდებით ალაგს და ამ დიდ და უშიშრეკლეს ჩვენს თანამდებობას კი უტოვებთ ნაბოლოვანად, ყარტალ-ყურტალა პირობით, რომელთაგანაც ვერა კეთილსა და სამაგალითო საქმეს ვერა ვხედავს ხალხი...

— კარგს ამბობ, მეტათ მოსაწონს, გავაწვევებინე სიტყვა, მაგრამ რაგორ ვიცხროვართ, რომ წავადეთ ჩვენც მღვდლათა?

— ვიცხროვართ ისე, რაგორც ხალხი ცხროვობს, მომიგონა მან შაჟოგნებელიც და ცოტა არ იყოს ხალხისანათაც. ხალხი ღარიბია—ჩვენც გამოვცადართ, რა გემოსია ეს სიღარიბე. სხვა რამ მწუნსარება და ვაება დაადგება — ავიტანართ ჩვენც მასთან ესეები. და თუ იმას ვიზამთ, რომ წამოვასხედებთ და წელში გავმართავთ ჩვენ სამწესოს—ხომ ჩვენც შადავათი მოგვეტყმა ამითა. ჩვენ უნდა ვიქმნეთ ხალხის ნამდვილი მამა, თანამომე, მის ჭირისა და სისარულის გამყოფი, მის უბედურებისა და ბედნიერების თანამოზარე, რომ ნამდვილათ —

„მისი წყლული გვაზნდეს წყლულად.
 გვეწოდეს მის ტანჯვით სული,
 მის ბედით და უბედობით
 დაგვედაგოს მტკიცეთ გული!“

აი მხოლოდ მაშინ გაგვიტნობს ჩვენ ხალხი და მიგვიღებს თავისად...

აწა ნაკლები ონისიმესი მქონდა მეც ხალხის სიყვარული ძაღლსა და რბილში გამჯდარი. მეცა ვფიქრობდი მის სამსახურში სიცოცხლის დაღუპვას, დიდი იმედითა მქონდა თავზედ; მაგრამ მაინც ვითხვა მივე.—

— გგონია რომ მაგარ ნიადგზედს ღვესარ? გუთხარ და შინშიაღ შევხედე დიმილით.

— რასაკვირველია, ბეჭს არ მოეწონება ჩემი აზრები, მომიგო უფრო მომეტებული სერიოზული კილოთი, ბევრიც მეტყვის: შენ ჯერეთ უმადვილი ხარ, ჭკაში დაგიფორინავენ ფიქრები, რაღა დაბლა ჩამობრძანდები, შინის შინ შესხედავ ცხოვრებას, შემოგებეკიან შვილები, ასტეხენ ბლავილს, დაგიწებენ თხვასა— „მამავ, წაღა მიყიდე“, „მამავ, ქუდი არა მაქვს“, მამავ, ახალუნი“, და სხ. მოგადგება ცოლიც ათასნაირი საჭირებულებით, — მაშინ სულ სხვა ხმაზედ შემოსდასეფო. ახა მაშინ გადავადებ იქით ანათორასაღ, ოლასსაღ, ქრისტიანობრივ სიყვარულსაღ, რადესაღ გაჭირება კარზედ მოგადგება და დაგიწებს ფეხის ბრახუნსაღ. მაგრამ მე ვეჩავინ დამაჯერებს იმაში, რომ სოფელს არ შეეძლოს მღვდლის დაჩენა, თუ მღვდელმა მოუარა მას, რაგორც რიგია. რასაკვირველია, ის ფარა ვეჩაფერ რძესა ჭ ვრბოს მისცემს პატრონს, ვეჩაფერს ბატონებს დაუნდის, რომელსაღ მწეკმსი არ უვარგა, არა ზრუნავს მის სამოვარზედ ჭ თვისი მღვიძარეობით ხელს არ უწეობს მასა. რათ ემდურინ ჩვენი მღვდლები ხალხსა? განა აქვსთ საბუთი ამისათვის? სრულიადაღ არა! ახა შითხრან— რა ამავსა სდებენ იგინი მათზედ, რომელნიც „მამაღს“ ეძახიან და რომელთაღ კიდევ იგინი „შვილს“? რა კეთილსა და სასარგებლო გზაზედ აუენებენ იგინი იმათ, რომელნიც მათ უწოდებენ ამ დიდ მნიშენელობიან სახელს „მო-

მღვარე“? ახა იგინი, რეგორც მწუემსნი, განა მწესობენ ექსა, იხსნიან, იფარევენ ამ ბოროტებიდგან, უსამართლოებიდგან, რომელნიც ესე მოდებულნი არიან ჩვენში? არ მკონია!...

ონისიძეს ლაშაჩაგს ახლდა კი ეტყობოდა აჩქარება, თითქო ბრახების მოკრეულობაც. ვინ იცის, რაები არა ჩამოეთვალა მღვდლების საქციელიდგან, რომ მე სიტყვას არ გამეწყვიტინებინა.

— მე თანახმა ვარ იმაზედ, რომ სამღვდელოება მეტათ დაცემულ მღვდომარეობაში იმყოფება, მაგრამ, ესეც უნდა იკითხოს კაცმა—რა მიგოცია მისთვის და რასა სთხოვლობს? კაცსა შინა რაღა ხდვას—იგივე წარმოადინდების.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა შეაყენეს ონისიძე. მან თავი მოიქნია და მითხრა დაბალის ხმითა.

— კარგი, მეც უნდა ვსთქვა, რომ თვით სამღვდელოება არ არის იმდენათ აქ დამნაშავე, რამდენათაც ის, ვინც მიიყვანა იგი ამ მღვდომარეობამდის.

— ე. ი. დროება? კვითხე მე აჩქარებით.

— რაც უნდა დაუძახე, ჩემო ძმაო, მომიგო მან ამოცხვართ, თუნდა დროება დაუძახე, თუნდა გარემოება და თუნდა შიროვნებას მაწყრე...

ონისიძემ კვლავ დაათვა ვასუნი, რადგანაც შეგვიხდნენ სხვა ამხანაგებიც და გაგვაწყვიტინეს ლაშაჩაგი.

IX

შემდეგ ასეთი ლაშაჩაგისა მეც საშინლათ შემაფიქრეს სამღვდელოების ეხლანდელ დაცემულმა მღვდომარეობამ. აღარა



მშორდებოდა კარგა ხანს თავიდან შეძლეო კითხვა: რა არის მართლა ეს ხანდალე დროში მღვდელი და ან რითი განიხივებოგი კრიდგან? აკეთ კითხვასედე ყოველთვის გ'მომესმოდა ერთი და იგივე პასუხი და ამასთან ისეთი სამწუხარო, რომ მე ციო რთულსაც გამომსყრდა ხოლმე შუბლზედა. ესედაკადი, რომ მღვდელი განიხივებო კრიდგან მხოლოდ ანაფორით, რომელიც ესლას ვაჭრობაში არის ჩავარდნილი. რა დანიშნულებას ასრულებს, რას მისდევს ესლას სამღვდელობა? კითხვამდი კიდევ ჩემ თავსა. მისდევს მას—ისმოდა პასუხათ, რასაც მთელი ქვეყანა!... როგორც ქვეყნის შვილი, ივინიც მართლად ქვეყნისანი განდენ, მას შეუთვისდენ და ხელიც მიჭყვეს მხოლოდ მიწიერ საქციელებს. წავიდა ის დრო, კამობდი ხოლმე ამოცხვრით, როდესაც სამღვდელობას მიუტანია სოფელი, და უტრიალებია ქვეყნის ჭკვიანურ და ვაყ-კაცურ გზასედე. ესლას ხელ სხვას არის: ესლას სოფელსა ჭყავს მიტაცებული იგი და ატრიალებს მას ისეც, როგორც თითონ უნდა. წინანდელნი მნათობნი, სასულიერო შიქნი, რომელთაც დიდი ღვაწლი დაუდგიათ ეგვლესიისთვისაც და მამულისთვისაც, რომელთ სიტუკასაც ჭქონია ანდამატური ძალა, ესლას აჩამც თუ იშვიათი შეიქნენ, აჩამედ სააჩაკო შიქებათაც ვარდაიქნენ: მაგრამ რათა და როგორ დაგვემართა ჩვენ ეს საქმე? ეს კითხვა მე საშინლათ მტანჯავდა და ვერც ვპოვებდი მის გამოსასხსნელ და გასაღებ კლიტესა. ონ...სამეძაც არა იცოდა რა ამასედე ნამდვილი. ჩემი ფიქრები ყოველთვის დაბოლოვდებოდნენ ხოლმე იმითა, რომ მართლად დიხსეულმა შიქმა უნდა ვაბედოს მღვდლობის აღება და თუ ჩვენ მოვირიდეთ თავიდან ეს თანამდებობა და უღირსთა ხელში ჩავაგდეთ, მაშინ, რა გასა-

კვირი იქნება, მამა-პაპიდგან მტკიცეთ შენახული ქრისტეს მცნებას სელიდგან გაგვეპაროს, მეთქი.

მღვდლათ წასვლასზე მეც ვფიქრობდი, იმედიც დიდი მქონდა ჩემს თავზედ, მაგრამ ვჭკვიც ვი სანდისხან მესტუმრებოდა ხალხი, წასაც აწა ვძალავდი ონისიმესთან.

ერთხელ მე და ონისიმე დავდიოდით სემინარიის ეზოში და ვლანკობდით მომავალს ჩვენს მოქმედებაზედ. ეს იყო საღამოს უამს, შემდეგ ღოცვისა. ეზოში მარტო ჩვენ ვიყავით, სხვანი ვი ჯგუფ-ჯგუფათ დადიოდნენ ბაღკონზედ და ჭქონდათ ატენილი ბასა, სიცილი. ზოგნი ოთახებში წიგნს მოსხდომოდნენ, ზოგნიც მღერობდნენ, თამაშობდნენ. რა იყო მშვენიერათ მოწმენდილი, მთვარე და ვარსკვლავები განსრებული თვალთ დაიყურებოდნენ მალეიდგან, თითქო ივინიც მოხაწილეობას იღებდნენ მე და ონისიმეს ტკბილ ღამაკაში. რომესაც დავსვდით აკადიის ქვეშ, მე დიმილით ვუთხარი:

— ჭო, კაცო, ეს უკვლავიერი ვარკვი, წასაც ვლანკობთ, მაგრამ ვაი—თუ სხვასავით ჩვენც სწავლილ საქმე დაგვემართოს—ესლანდელი სიტყვები მარტო სიტყვებათ დაგვჩნენ და საქმით ვი ვერა-მოვასერხათ რა. ვაი თუ ჩვენც მამინ რცხებათ შევჩიცხათ ჩვენი ეს ესლანდელი დრო, ფიქრები და ჩვენს პოეტთან განვიძეოროთ:

«ახ, სად არიან, სიჭაბუკე სიტკბონი შენნი»?!...

— მაგისთანა საქმე, წასაკვირველია, ჩვენც უთუოთ დაგვემართება, მიზასუნა მანა, თუ ესლავე არ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენი გზა და კვადი, რომელთაც ესლავი ვერჩეკთ, ნარითა და კვლით იქნება მოდებული და აწა ია და ვარდის ფოთლებით

მოფენილი.

თქვამია: „ნუ შეხვალ, ნუ ეხადები, თუ გამოხვალ, ნუ თრთილ!“
თუ ჯერეთ ბანაობა არ ვიცი, თუ არ უნდა შეხვდეთ წყალ-
ში. თუ შევედით ზღვე შიშის კანკალი, თრთილს აგვიტყდა,
ამაში ჩვენვე ვიქმნებით დამნაშავენი, და თუ ეს სხვასაც გავ-
გონეთ—სასაცილო ზღვე-მოხსატველი საქმე იქნება ჩვენთვის.
წყალთან ხუმრობა არ შეიძლება. აგრეთვე არ შეიძლება ხუმ-
რობა ცხოვრებასთანაც. მეტადვე იმისთანა თანამდებობის
ადება, როგორც ძღველობა, საღვთის წინამძღოლობა კეთი-
ლისკენ, ნეტარებისკენ, სახუმარი საქმე არ არის.

ონისიძე ღაზარაძეობდა ამას ისეთი დამტკიცებული კი-
ლოთი, ასე ეგონებოდა ვადა—ეს ჯერეთ დაბურებულა და მე-
რე გასაღ-გაზღებულა. მეც მჯეროდა მისი იმედისი ღაზარ-
აძი, მაგრამ მანცა ვკითხე:

—ნუ თუ იმათ, რომელნიც შესულან ცხოვრებაში კეთი-
ლი განზრახულებით ზღვე მურებში ჩაკვიდნან, დაუწყვიანთ
სამღურავე სოფელზე და ახალგაზღვობის ფიქრსა ოცნებათ
შეუთვლიანთ, ნუ თუ იმათ—ავამღლე ღაზარაძი—აჲ ჭქონიანთ
წარმოდგენილი წინათვე, რომ . . . შუბანჯველათ
იგინი თავს ვერ გაატანდნენ?

—როგორ, წარმოდგენა მაგისა ექმნებოდათ, მომიგონ იმან,
მაგრამ ამ დროს ალბათ დააკვირებოდათ, ანუ არათ ჩანებო-
დნენ, რომ . . . ყველა ახალ-გაზღვისთვის, რომე-
ლიც კი ჭფიქრობს შატალისური შრომით ცხოვრებაზე, მო-
ყვასის სამსახურში დღის დაღვევას, საჭიროა გვერდში გო-
ლას ნამდვილი მეუღლისა, რომელმაც მისთან განწილს ჭაშანი,
უდროგო-დროს არ მოწყვიტოს ჯანსუდ და არ დასტავს. მე
ფიქრობ, რომ მეუღლის ამოწვევასედაც იგინი ძვირე შე-

სტდებოდნენ, გამოუდგებოდნენ ან ქალის სილამაზეს, ანუ მის ქრთამ-ძნითუკსთა და იმას, კი დაივიწყებდნენ, რომ შექმდე-ბოდათ მათგან ამოწმეულ ქალებს მათი აზრისა და განძახსუ-ლობის გაგება და გაზიარება. მათი ნამდვილი მეუღლეობა თუ არა. ქალი და მხოლოდ ქალი ყოფილა და არის კიდევ კაცის გმირათ გამხდელი და აგრეთვე უკაცის ძვირად გარდა-ქმნილი.

— მაგას მართლეს ამბობ, მიუგე მე, ყველათურში თანხამო-ბას უკაცნადეო, მაგრამ ეს მინდა გვითხრა: გვინა იზოგო ჩვენს ქალებში იგეთი, რომელიც უყურებდეს ცხოვრებას შენი თვა-ლებით და რომელიც ნაცვლად მაგისა, გათხოვებას არ იდ-გენდეს იმ წაღვოტათ, სადაც ის და ვარდი სულ უნდა ყვა-ოდნენ და იადონ-ბუღბუღები განუწყვეტლათ გალობდნენ — მერე რასეა? სულ სიყვარულის ტრფობაზეა! აბა მოიგონე, რას ამბობენ გ. ერისთავის მაკა-ნინურები.

ტრფობაა ქალთა ხუგეში, სხვა რა გვაქვს სოფლისა ლხინი? ტრფობაა გვიდიდება, ჩვენი სკიბტრა და გვირგვინი.

— ძრეულ შესტდები, დაცნებით მომიგო ონისიმე, თუ შენც მაგ აზრს დაადგები, რომ ქართველი ქალნი მარტო ტრფობისთვის იყვნენ განხილნი, რომ მათი ნამდვილი დიდუ-ბა, სკიბტრა და გვირგვინი ტრფობა იყოს, რომეოც ეს მა-კა-ნინურებსა ჭგონიათ, ეგ მეტათ შემტდარი ჭაზრია, მაგას მოსპობა უნდა და არა განძეიერება. მაკა-ნინოები არიან ჭი-ანნი ხილნი, ახალი დროებისაგან მოსხმულნი, ეგენი არ არიან ნამდვილი ქართველი დედის ძეძუთ გაზრდილნი, მაგათი აკვა-ნი არ გადაწყებულა ქართველი დედიდან, მაგათ არ გაუგო-

ნათ ქართული «ნანა», ან მსხდარან ეგენი ქართველი დედის მუხლთან და არც არაფერი გაუგიათ რა თვის ძალად დანიშნულებაზედ, თვის ღვთიურ ვალზედ. ქალი იყო ჩვენი ნამდვილი დედა-ბოძი, რომელიც იმაგრებდა თავის მხრებზედ მრთულს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას და ბედ-უბედურებას. . . .

— ეგ ყოფილა მასინ — გაკავებინე სიტუკა — რომელსაც ჩვენ დედას თავისი ქალი მუხლთანა სჯდომია, გარდაუცხად მისთვის თავისი სულისა და გულის ძალა, უსწავლების ცოცხალი მაგალითებით საწმინტოების დაცვა. სამოქალაქო გრძნობების შეთვისება და მით მწარე ცხოვრებაში ადამიანური სიტკბოს შეტანა. ესალა? — ესალა ეს დიდი და თაქიზი მოვალეობა აუღია კისერზე სკოლას და ჩვენებურ დედას კი მოუშორების იგი თავიღვან. და რა გამოვიდა ამისთანა გარემოებიდან? — გამოვიდა ისა, რომ, არამც თუ თვის დანიშნულებაზედ, საღმრთო ვალზედ ჩვენმა ქალებმა არა შეიტყეს რა, არამედ თვით დედა ენაც კი დაივიწყეს ანუ სათავილთი გახადეს მასზედ ლაპარაკი.

ონისიძე განუძღა, ეძნელებოდა თითქოს ვასუნის მიცემა, რადგანაც ჭკრძნობდა, რომ მე მართლად ვეუბნებოდი. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო ასრე:

— მე წელანვე გითხარი, რომ მაკანონულები და მათნი მსგავსნი არიან ასალი დროების ჭიანი ხილნი, მეთქი, ამ ასალმა დროებამ მართლ მუქთაობას, პრანჭა-გრენობას, ჩაცმა-დახურვას, ლეშათ მოშავებას, და უღირსო ტრფობას მიანიჭია ჩვენი ქალნი, თვისი საძვეთო ვალი კი დაავიწყებინა. მაგრამ მე მაგეთნი ქალნი არა მუყანან სახეში. მაგათთვის ადგილი მუშა ასალ-გაზდის სახლში არ არის. ეგენი მიემსგავსებიან ძველი დროების იმ ხელთ-უყარა და ენა მრავალა ქალებს, რომ-

მეზინე გადადებულნი იყვნენ ხალხე თათრის ქაქემისთვის ზ
რომელთაც არასოდეს არ დაუმსახურებიათ სახელი ქართული
დედისა.

— დედაც რომ აღარ გვევს, . . . რომელსაც

წინანდებუკად სამქალაქო მოკვინებისადმი გული უცემდეს?!
კითხე მე განცვიფრებით.

— თუ მე და შენ ვერა ვხედავთ, დაიწყო იმან შესურებუ-
ლად, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ხსენებაც კი აღარ იყ
ჩვენში . . . დედისა. იგი ვიდრე არის, მისი უკვდავი
სული ვიდრე ძლიერია ჩვენში და აი ეს ვურთხეული სული
დაგპტრინალებს თავზედ . . . განგებად დედა-ღვთის-მშობელს
არგუნა წილში ეს ჩვენი პატარა ქვეყნა. ანდრია მოციქული
ორჯერ უთხილან აქა, მაგრამ მას ვერაფერი გაუწევია, ვერ
მოურჯულგობა ჩვენი ხალხი. წმიდა ნინოს ქადაგებით კი მას
მამინეკ სელი აუღია კერპთ-მსახურებიდგან, უცხვია მიწონი
და მტკიცედაც დაუტავს ამ უგანსკნელ ყამამდე მაცხოვარის
სწავლა. აქ ისიც ურადლებს მისაქცევია, რომ ჩვენში ნი-
ნოს მწმუნებულნი და მისი ქადაგების მიმდებნი პირველათ
ქალები უთხილან. მამასადაძე ესლაც ქალებისგან მოკვლით
ჩვენ სინათლის, მეცნიერების კარების გაღებისა. . . სწავ-
ლისა და მეცნიერების ძალით. აი, აქ არის . . . ქალის
მოწოდება, მაღლიდგან დანიშნული მისი კალი! აი, ამასი იბო-
გის იგი ნამდვილ თვის დიდებას, . . . და გვირგვინს.
ეს წმიდა კალი უნდა ვავოქვიფოვს მას უურებში, თუ რომ
მართლა სრულიად გადავიწყებული აქვს იგი და აღარც კი უნ-
და მისი გახსენება. . . ჩვენი ესლანდელი ფიქრების გასახორ-
ცილებლათ, როგორც გითხარი, უნდა მოვიყენოთ გვერდით
არა კვე-ნინურები, არამედ მკლავ ზ გულ-მაგარა, ტვინ გაურჯე-



ნული ქალები, რომლებიც ნამდვილ მკურნალებს ვაკვირდნენ. თუ ვაკვებოდათ რასმეს—მხრულად მათი დახმარებით და გამხსნელებით.

X

და ამ სახით, როგორც რწმინდო იტყუადა ხოლმე, მისი ცრული უნდა ყოფილიყო ნამდვილ მის მკურნალებად. მას უნდა გაეყო რწმინდისთან ყოველივე მისი ჭირიცა და სიხარულიც. იგი უნდა ყოფილიყო სოფლის დედა-კაცობაში ისეთივე მძე-მედი, საჭმის მტრიალებელი, გაგლებიანი, როგორც იქნებოდა თვით რწმინდო გლეხ-კაცობაში. გლეხი კაცის მოდრეკა და შორეულულება მკრე ადვილი საჭმე არ არისო, იტყუადა ხოლმე რწმინდო, მაგრამ გლეხის დედა-კაცი კი ყველასთვის მალეც გა-აკვებინებ, შეაკვებ და ვაკვებინებ ვიდრე, თუ შენი ლაპარაკი იმის სასიკეთო იქნებაო. აი ამიტომაც—დაუმატებდა ხოლმე ყოველთვის—განათლებული და ენერგიული ქალი უფრო რე ბევრი რამის ვაკვებებს შეიძლება ჩვენში, ვიდრე მამაკაციო. არავის არ შეეძლო ის აზრი დაეზღვია მისთვის, რომ, თუ დედა-კაციც ხელები არ გაიძრა, მამაკაცი უიმიოვან მართლ კერძს გასდებო. ადვილად შესაძლებელი იყო, რომ ვისმეს სიცოცხლეზედ ხელი აეღებინებინა იმისთვის და ამ რწმინდისაზედ ვუარს ვუარავინ ათქმევინებდა—ის ღრმითა ჭჭუნდა იგი გამძვინვარე ძვალსა და რბილში.

იყო საღამო ხანი. რწმინდო და მოთხნარ სხვანი მისდევნენ გარეთ ბაღიკონზედ, ბიბლიოთეკის წინა და ჭჭუნდათ ვაუ-

ძლიერებული ბასი. ვერ გავიგე ის, საიდან და როგორ შე-
შლათ ლაზარკისთვის თავი, მივასწარ მხალღად ამბავად:

— რას ამბობ, კაცო, რასა?! წამოიძახა განცვიფრებით ერთ-
მა აქ მდგომთაგანმა, ასე ლაზარკობ, თითქო აჩვიან აწათყერი
ვიცოდეთ იმ უშმაგის მოჩვენებაზედ, რომელსაც ქალი ჭკვიან.
თუ მე მკითხავთ, მე უნდა უკეთ გატყვით უკვლასეულს. ქალის
ახალ-გაზდის ტვინის გამომწოვი და გამდაყუბელი, მის ჭი-
ბის გამომცარიელებელი და ვალში ჩამგდები, მის გზისა და
კვალის გადამრევი და კვლევში გადამგდები. სანა...
მითელი საქართველოც ქალისაგან არის დაღუპული.

აკეთმა მოულოდნელმა დასკვნამ მეტათ გააცხარა ონი-
სიმი.

— როგორ?! ჭკითხა მან განცვიფრებით. კარგი იქნება, რომ
ერთი ფაქტი მანც მოიყვანო მაგ უკანასკნელი აწრის დასა-
მტკიცებლათ...

— ერთს ვი არა, თუ გინდა, ხუთსაც გატყვი, მიუგო ფა-
ხაძემ თვალების ბუჩუკით, რომელიც ერთის მხრით დაცინვის
და მეორეს მხრით გამარჯვების და გამყოფილების ნიშანი იყო.
აი მაგალითებ: რათ იმსხვრეგდნენ თავს ეს ყიზილბაშები,
ოსმალოები საქართველოს დაზურობისთვის? განა იმისთვის არა,
რომ ქართველი ქალის სილამაზით დაემშვენებინათ თავისი ჭკე-
მები? ვინ იყო საქართველოს მეფეებისა და ბატონის შვილების
ერთმანეთში უთანხმოებისა და განხეთქილების მიზეზი? განა
დედა-გაწის ენა არა?! ვინ არის ეხლაც ჩვენში იმის მიზეზი,
რომ მის მასთან ვეღარ მოთავსებულა? განა აქაც დედა-გაწი
არა?!

უკვლას დიდილი მოგვივიდა ამისთანა საბუთებზედ. შეს-
წავიტეს უკვლამ ლაზარკი და მითელი ჩვენი უურადლება მი-



ვაჭრით ამ ორი კაცის ლაშაჩაჭს. ონისიძე გასწორდა წელში და მეტე დაიწყო დალაგებით:

— რასაკვირველია, უკვლავ ეგ, რაც შენ ჩამოსთვალე, ითქმება მხოლოდ ისე სიტუებით, ქალების გასაჯავრებლათ. მაგათი ისტორიულად გამოკვლევას და ფაქტებით შემოწმება მნელო რამ არის. მეტადრე ქართლის ცხოვრებით მაგათი დამტკიცება შეუძლებელი საქმეა. მაგრამ, ესთქვათ, რომ აგრეც იყო, როგორც შენ ამბობ. განა თავის სილაშაშეში თვით ქალები არიან დამნაშავეები და არა ის კვლეული ბუნება, რომელმაც ასე შეამოღო სახის მშვენიერებით მანდილასობა ჩვენში?! თუ დედა-კაცი იყო მართლად ჩვენში ბატონის შვილებშუა უთანხმოების ამტკისი, რომ ამით ჩაკედილ ხელში დედოფლობა ზე მძანებლობა, დედა-კაცები ასისინებდნენ ერთმანეთზე, უმოწინააღმდეგო და უთანხმოებას ჰბადებდნენ თავის ქმრების შორის, რაიც ისტორიულად, როგორც გითხარ, მნელო დასამტკიცებელია, ესეც უნდა მოიგონო ხოლმე, რომ კბეკე დედა-კაცი იყო ქმარის გამძნეველი ზე გამძავრებელი, და თვით ლეჩაქსაც მოახვევდა ხოლმე მას ქუდზედ, თუ იგი მამაცურად არ დაუხვდებოდა მტერსა და გამოქცეოდა. იმაში ხარ შენ მეტად მართალი, რომ ორი ძმანა, რაც უნდა საუკრელნი იყენენ ერთმანეთისთვის, კვლარ მოთავსდებიან ერთათ, თუ ორთავემ ცოლები მოიყვანეს, შეიძლებენ ერთმანეთს და უთუოთ გაიყრებიან ვიდრეა. რასაკვირველია, ამით რჯახნი დაბლა იწეეს, სუსტდება, ხალხნი ღარიბდება, ვალში რევიკა ზე მამასადამე ამის მიხეში—ქალის მოუთავსებელი ხასიათი — მეტად გასაკიცნი რამ არის, მაგრამ მაგაში მე ქალის თვით ამ გასაკიცნ ხასიათში ისეთ თვისებას ვხედავ, რომელიც მადლა სწევს მას, ადიდება მის ღირსებას უოკელი

გონიერი კაცის თვალში. ქალის აგეთ ხასიათში ჩემის აზრით ისტება ის, რომ იგი ელტვის (და ელტვრდა კიდევ) თვით მოქმედებს, დამოუკიდებელ ცხოვრებას, თავისუფლებას და მისასადაძე ამავ თვისებას დედა-კაცისას უნდა მიეწეროს ისიც, რომ . . . ეს აზრი უფრო ჭკვალად ახლო უნდა იყოს, ვიდრე ის, ვითომც ქალის მშვენიერებად და ენამ დაასუსტა და დაღუბა ჩვენი ქვეყანა. ამასთან, აი ერთიც კიდევ რა გითხრა—სთქვა გამაჩვენებულმა ონისიმემ—გაშლმა წასწყობინდა პირველი კაცი, მაგრამ გაშლამვე უკვდავ ჭურ ნიუტონ ამისამსგავსად, ვსთქვათ, რომ მართლაც, როგორც შენ ამბობ, საქართველო დაეღუბოს ქალსა, შენ ამასთან ისიც უნდა იქონიო სახეში, რომ საქართველოსვე ამშვენებელიც ქალივე უფთილა და ამას იქითაც ქალივე იქნება ჩვენი ქვეყნის გამშვენებელი და ამუყავებელი.

აჲ ვიცი, ფასაძეს ჭკვაში მოუვიდა თუ არა ონისიმეს მსჯელობა, ეს კი იყო, რომ წინააღმდეგი არა უთხრა რა და მხოლოდ უგანასკნელი ჭაზრის შესახებ სთქვა შეძლები და ისიც მოწბილებით:

— ნათქვამია: „დედა-კაცს ჭკვა ვინ მისცა, ვინ დაუწერა ბაზათიო“. კიდევ: „დედა-კაცი ჭკვა მოკლე და თმა გრძელიო“ და კიდევ: „დედა-კაცის ჭკვა თხილის ნატუჭში ეტევაო“. აი როგორ შეუმოწმების ჩვენ ხალხს დედა-კაცის ჭკვა-გონება. განა შეიძლება აგეთი ჭკვიდან გამოვიდეს რამ ხეირი და სიბრძნე?

— ამას წინათ მქონდა მე მაგაზედ ლაშარაკი, მიუგო ონისიმემ, და ესლაც იმას ვიტყვი, რომ ეგ ანდაზები, ჩემის აზრით, უნდა იყვნენ ჩვენში შემოტანილნი თათრებიდან და არა თვით ჩვენი ხალხისგან ნათქვამი. სხვაგან რომ მოსახერხებელი უფ-



ფელიქსი მკეთილშობილი უსამართლოდ დამდაბლება ქალისა, ხვენში შეუძლებელი საქმე იყო, სდაც ორთავე სქესს — ქალსაც და ვაჟსაც ერთი სახელი ქქონდათ „კაცი“. განიხილდნენ მხლელად იმითი, რომ ერთი იყო მამა-კაცი, მეორე — დედა-კაცი. ამასი თანაბრობას გამოხატული. გარდა ამისა, — ხვენში ცოლქმარნი ერთმანეთს „მეუღლე“ ეძახიან. განა შეიძლება კამბეზმა ხაქი რადისმე თვის მეუღლეთ შეთვალეს ან მიიღოს?! განა მამა-კაცი დედა-კაცს დაუძახებდა თვის, თანაბრად, რომ იგი მასზედ უფროდ იყო მარცხ დაბალი, უჭვეო, რომელიც მკ ანდასებშია გამოყვანილი?! ეს შეუძლებელი საქმეა და მასსადამე დიდი უსამართლობაც იქნება მიეწეროს მკეთილ ანდასების შედგენა ქართულ საფსს, რომელსაც მკელის მკელად გამოუხსნის და გადაუწვევიათ კიდევ ის კითხვა ქალის თანაბრობის, ასრულ წოდებულ ემანსიპაციასზედ, რომელიც უკრობაში აღიძრა მხლელად ამ უგანსებელ დროში! „ლეკო ლამისა სწორია — მუ იყოს განა ხვადია“, ამბობს ხვენი უკვდავი რუსთაველი. ეს კიდევ არაფერი. ხვენს საფსს არამც თუ მამა-კაცთან თანაბრად უგანის დედა-კაცი, არამედ მასზედ უძლიერესადაც. „დედა-კაცმა გაიწია — ცხრ უფელმა ხარმა გერა“ გამოგვეხსნის ხვენ მკელადგან. საიდგან და რომორ კენებოდას მას აკეთი ძალა და ღონე, თუ რომ იმისი ჭკვა ისეთი ვატარა იყო, რომ თხილის ნაჭურჭში მოთავსდებოდა?! არა, თუ ქალი იყო ხვენში ძლიერი, რაშიაც ეჭვი არ არის, იგი იყო ასეთი მხლელად თვის ჭკვითა და მოსაზრებით. და აი ამ ჭკვითაც ხშირად შეუძინეკია მას ხვენ მამა-კაცებისთვის მოუხერხებლობა, უთარსნობა, საქმის გაფუჭება და ამიტომაც უთქვამს გაჯავრებით: „ნეტავი გარეთაც მე მამყოფა და მი-

ნათარქა... აქ ფახსძე სრულად მოხბილდა და მხალად ექდა
სთქვა:

— ჭო, ვითქვამთ, რომ მაგრეც იყოს, როგორც შენ ამბობ, ახა, მაშ გეტყვობ კიდევ, თუ როგორ იყო მოსახერხებელი, რომ ქალის ჭკვა ძალდა შეძღვარიყო ვაყისაზე?

— აი საიდგან: ხომ გაგიგონია ჩვენი ხალხის აზრი: „წიგნი დედა-კაცის ხელბადა“. მართლაც და წიგნი ქალის საქმე ყოფილა ჩვენში. დედა რომ გაათხოვებდა თურმე თავის ქალსა, თუთოთ მას გააძინდა წიგნებს, რომელთ რიცხვშიაც პირველი ადგილი სჭკვის „კეთხვის ტყაოსნისა“, რაშიც ბევრი ჭკვა და გონიერებაა გამოხატული. ეს წიგნი ჩვენში ქალებს შეპირანაც სტოდნით და აი ამ წიგნსაც საზოგადოთ იმ თავიდგანვე უვარჯიშებია ქალის ჭკვა-გონება, აუწევია ძალდა, განუძლიერებია....

— მაშ თუ მაგრე ძალდა იდგა დედა-კაცის ჭკვა-გონება ჩვენში, თუ ის მართლაც ძლიერი იყო, მაშ რატომ ნაყოფი არა ჩანს? რატომ არა ვკაქვს ჩვენ ქალიდგან დაწერილი რამა, მაშინ როდესაც უკვდავ ეს მამა-კაცის ჭკვის ნამოქმედაა?

— შენს ვითხვანზედ მეც ვითხვით მოგიგებ. რატომ ამერიკაში აქნამდის ვერ მოგვცა ვერც ერთი ბოგლი, ვერც ერთი კონტი, ვერც სპენსერი და ვერც ერთი დარვინი? — იმიტომ, რომ ამერიკაში ჭკვის ძალა მიქცეული იყო პრაქტიკული მოქმედებისკენ და ტეორეტიკული მოაზრებით თავის გამოჩენას ძვირათ მიხდებოდნენ, ჩვენშიც დედა-კაცის ჭკვის ძალა ოჯახის გაუმჯობესებისკენ, შვილების აღზრდისკენ იყო მიქცეული...

— ბრავო! — წამოიძახეს აღტაცებულმა ამხანაგებმა ონისიმეს გამარჯვებაზედ და ამით გათავდა ეს დიხს სწინობი ბა-

სი. ვინ იცნობდა, რომ სემინარიის კედლებზეა ასეთი ძალუძი მომხრე ეზრდებოდათ ჩვენ ქალებს!

XI *)

ჩვენს გუგუნდს ამხანაგი, დიდ-გულაძე, რომელიც თავის საჩუკით ამიწებდა აკადემიაში წასვლასა და ემზადებოდა კიდევ ამისათვის მრთელი ერთი წელიწადი. ამასა ჭეკანდა თბილისში მახლობელი ნათესავი, რომელიც ხელს უმართავდა და შექმნა-ბასაც ჭეხილდებოდა. ეს მეტათ გავლენიანი და დიდი შიში იყო.

*) რედაქციას მეტათ სამწუხაროთ მიაჩნია, რომ აქ აკლია ამ წარჩინებულ მოთხრობას რამდენიმე თავი, რომელიც განსვენებულ ავტორს თეთრათა ჭეკანდა გადაწერილი და წაეკითხა კიდევ ბევრ თავის კეთილის მყოფთათვის. აქამდის იმოცომ ვაგვიანებდით ამ გაგრძელების დაბეჭვდას, რომ იმედი გეკონდა მის ნაწერებში გამოგვექმნა სადმე აღნიშნული ადგილები. მაგრამ მეცადინეობა უქმი გამოდგა. თითონ ეს გაგრძელება მხოლოდ შავათ დაწერილი ვიპოვნეთ და მაინცა ვბეჭვდავთ, რადგან ეს შავიც ცხადათ ვაჩვენებს, თუ რა შესაძლოა თითონ ჩვენი ცხოვრების აღწერა, რამოცუნა სიმშვენიერე, ლაზათი და აზრი მოაპოვება ჩვენ გარ-შემო, თუ კი კაცსა აქვს ნიჭი, რომ თვალეზი გამოიყენოს დასანახავათ და უერები — გასაგებათ. უნდა განუცხადოთ შკითხველსა, რომ დაკარგულ ადგილებში განსვენებულ მ. ასათიანს მართლთა შესანიშნავათა ჭეკანდა გამოხატული სემინარიაში უკანასკნელი ორი წელიწადი ონისიმეს განსნილობისა, ხასიათის გამაგრებისა, ზნეობითი იდეალების გამოარკვევისა. იქამდის მიიყვანა ავტორმა ონისიმე, მანამ სამართლიანობისა და პატიოსნების დაცვისთვის ონისიმემ არ ითავა მთელი სემინარიის აჯანყება უსვინიდისო და უსამართლო მასწავლებელ — მოხვლეებთა წინააღმდეგ. აქ იყო ხელოვნურათ და უტყუარათ

თბილისში, მეტადვე სასულიერო წოდების ნაწილში. როდესაც მიიუუნწა გუჩისის კათაგების დრო და მისუღიუც თავის ნათესავთან ეს ჩვენი ამხანაგი, ეკითხა მისთვის ამ ნათესავს:

— აბა, როგორა ხარ პირობასედა?

— კერ უოჩად! მიეგო მას მოწყენილის ხმითა.

— რათა? რა მიზეზია? — ეკითხა.

გულ-დიდაძეს ეთქვა, რომ თუმცა აქამდი აწაფრათ მიმანდა, მაგრამ ესლას კი ძლიერ მეძნელება მარტოკას წასვლას. ვინ იცის გზაში რა მომივიდეს, და როგორ არ უნდა შევანდეს ვინმე ხმის გამცემიო. ამ ამბავს ძრიელ შეეფიქრებინა მისი ნათესავი და შეძევ ეკითხა. —

რათ აღწერილი ამბავი

რომელიც

მოხდა, მგონი, 1871 წ. და რომელშიაც თითონ ავტორმა მიიღო უმთავრესი მონაწილეობა. აღწერილი იყო ის უშვერი საქციელი, რომელსაც იმოკვლა შაგირდების თვალ-წინ იჩენდნენ მაშინდელი რექტორინსპექტორ-ეკონომ-მასწავლებლები. შიმშილითა და უწმინდურებით

და მათზედ გადადებული ფული, ვინ იცის საითა ჰქრებოდა მოთავეების წყალობით. ვინც გაჰყვებოდა და ხმას ამოიღებდა, მაშინათვე ამოუქოლავდნენ სემინარიის კარებსა და გაავადებდნენ. ამისთანა საშინელ შევიწროების დროს, რამდენიმე გამხედავი მოსწავლეების თაოსნობით, მოხდა იშვებითი შეთქმულება სემინარიელებისა — გადაწყვიტეს ისე ეცემნათ მოხელეთათვის, რომ სადაც თავისი დაეკვებნათ, იქ არც სემინარიელები დაჰვიწყებოდათ. მაგრამ მახეზღარებმა შეატყობინეს რექტორსა, და შუა ღამისას, როდესაც ერთი თვალის დანამხამებაზე თითქმის სამ-ასამდის მოსწავლე გამოიფინა ზემოთა ბალკონზედ და შეიქნა უცებ საშინელი ყვირილი: «პური გვშიან! პური გვშიან!» იმ იმედით, რომ ამ ხმაურობაზე გარეთ გამოვლენ მოხელეებიო, ესენი არ გამოვიდნენ. მაშინ ბუნტოვშიკვებმა ამხლოდ ესლა მოახერხეს, რომ დაუწყეს რექტორის ფანდრებს ქვების სროლა და რამდენიმე შეშაც ჩაღწეს. . . .

რედ.

— ეინა გუგუს კარგი ამხანაგი და ვიზუდა გუგუს იმედი, რომ გამოდგება აკადემიაში?

მას ჩემზედ უჩვენებინა.

იყო სადილობის დრო, როდესაც მე მითხრეს, რომ მას და მავანი გუგუსი. მე ძლიერ გამაკვირვა ატემა სმამ. პირველათ არ მჯეროდა, ვამობდი, იმას რა საქმე ექნება ჩემთანა, მეტქი, მაგრამ მერე დამარწმუნეს და მეც სალამის ყამს წავკელ. მასხურმა შეატყობინა ჩემი მისვლა და მერე შემოყვანა კიდევცა. ამ დროს ის თავის ფანჯარასთან იდგა და გადაჭყურებდა მტკვარს. ჩვენი მტკვარი იმ დროს მეტათ გუგუსრეული მოდიოდა, თითქო გამუქებოდეს თბილისს რაზედმეო. მიველ, თავი დაუგარ, სელზედ კაკორე. მან მაგურთსა ჭ დამსვა.

— შენა ხარ გიორგი იმედაშვილი? მკითხა მან.

— დიან, მე განლავარ, მიუტე მე დაბადის სმით.

— გაათავე კონამენიები? მკითხა და თანაც დაკვირვება დამიწყო.

— არა, ერთი კიდევ გვიგლია ჭ იმასაც ზეგ მოვრჩებით, ვუზასურე და თანაც ვამობდი—რისთვისა მკითხავს ამებსა ჭ ან რა უნდა მას, მეტქი.

— მერე საით ავირებ წასვლასა? მკითხა და უფრო დამაშტურა თავლები.

— ძველათ ვანირობ წასვლასა, ვუთხარ და თანაც გუგუს როგორღაც ნძრევა დამიწყო.

— რატომ აკადემიაში არ მისდინარ? მე შევიტყე, რომ შენ ნიჭიერი ყმაწვილი ყოფილხარ. ცოდვა იქნება, რომ ეგ ნიჭი მიწაში დაფლავ ჭ ნყოფი არ გამოდებინო—აი უკეთესი იქნება, ჩემს ნათესავთან, შენს ამხანაგ დიდ-გუგუსთან წადი,

ისწავლე ოთხი წელი-წადი კიდე, მეტე მოხვალ და ვატი იქნები.

ახლა კი მივხვდი, საიდან და როგორცა უმოკლეს სსქმე დაწეობილი და უკან დაუხვევლად უთხარ ცივი უვარი-აგეთი ვასუხი მას არ მოეწონა და დაცინვითაც მითხრა:

— რა დაგიყენებია „მღვდლათ უნდა წავიდე, მღვდლათაო“! რა ნახე მღვდლობაში სახარბაელო და მისწოდველი? რას მოგცემს შენ მღვდლობა?! იცი, რა არის ესა, ამ დროებაში მღვდელი? —
 !... ჩემო შვილო, ახა შენც გინდა აგეთი ვახდე?!

მე სრულებით არ მოველოდი იმისგან აგეთ აზრს მღვდლობაზედ, მაგრამ ამასთან ისიც შევნიშნე, რომ იგი მეუბნებოდა ამას მეტათ წმიდის და წიგულის გულისთ ამან გამბედინა მეც წმიდის გულისთ მეპასუხსა:

— ახა იმისთვის მივდივარ მე მღვდლათ, რომ შეეუცვალა ქვეყანას მსგეთი აზრი მღვდელზედ, ვუხეწო, რომ მოძღვარი დიასაჲ ვატივის-ცემისა, სიყვარულისა...

— მეტე როგორ გინდა გამოსცვალა ხალხი? მითხრა მან დაცინვით, ქვეყანა მლიერა, ჩემო შვილო, შენ იმის გამოსცვლა კი ვერ შეგეძლება და ის კი შენ მალე გამოგცვლის. აი შენი ცნობრებისა და მოქმედების სურათი, რუ მღვდლათ წახვალ: ჯერეთ, რასაკვირველია, დაიწეობ ფარფატობას მავ შენი ახალი აზრებით, რომელიც ჯერეთ ვერ შეუჩივდებია ქვეყნის წამხდრობას, და მეტე კი ხელა-ხელა შეგითრევეს ეს ცნობრება და მამინ სრულიადაც დაიკარგები მასში. არა, — შენ მე დამიჯერე, როგორც გამოცდილ ვაცსა, რომელსაც შენი დროც მოუჭამია და სხვადა, ახსენე ღმერთი, წადი ავადებისში, შეასრულე გულისი, მოდი იქიდგან და მამინ იხრუნე შენი მოძ-

მისათვის და მამულისთვისაც. დასასრულ ამასაც გეტყვი: მე-
 რგორც შემიტყვიან, შენ . . . შენიშნული ყოფილ-
 ხარ რექტორისგან ღ მას იმედი ნუ გექნება, რომ მალე მიი-
 ლებდე მღვდლობასა, მე ეს თვით შემიტყვიან ნამდვილის წყა-
 რადგან.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა მე ძლიერ შემაფიქრებინეს.
 ვასუხი კვლავ მოვასხეხე იმის გარდა, რომ მოვიფიქრებ ღ
 გაღწეული სიტყვას მეტე მოვასხეხებთ, მეტე.

წამოველ სემინარიისკენ მეტათ წელ მოწვეული ღ ან
 ვიცოდი, რა მექნა. ერთის მხრით ჭკაში დასაჯდომი იყო
 იმისი რჩევა, მით უფრო მომეტებულად, რომ, ვინ იცის, მა-
 რთლას, მივიღებდი მე მღვდლობის ადგილსა თუ არა ღ
 თუ მომეტებდნენ, ვინ იცის, საით მივსვდნენ თავსა. მაგრამ
 მეორეს მხრით სამარცხვინოთ და განსაკიცხათ წამომიძღვა
 ჩემი თავი, რომ ასე მალე დავიწყო ფაშოვლი შემოდგომის
 ფოთოლივით. კვლავი, რომ ორთავ წყაღს შუა ვიყავ და
 აქ რა მექნა, რა მეწამებინა, ან ვიცოდი. ის სურათიც მისა-
 ზიდი იყო, მეტათ მისაზიდი, რომ მე შევიდოდი მეცნიერე-
 ბის ტანში, მოვიწვიებდი უფრო ჭაზრას, გავიძვრებდი
 მარჯვენას, მოვიდოდი აქედან უფრო მომეტებული ცოდნით,
 გამოცდილებით, უფლებითაც, მექნებოდა მომეტებული საქმის
 გაკეთების შეძლება; მაგრამ ამასთან თავ-ზარს მცემდა ისიც,
 რომ მე უნდა უვარ მეყო იმიდგან, რაზედაც ამ უკანასკნელ
 დროებში ესე ვიფიქრებდი, რასაც ვეცოდო და მეგონა, რომ
 ამიღვან ხელების ალება ჩემგნით შეუძლებელი იქნებოდა. რას
 მეტყვის ონისიძე? აი ვითხვას, რომელიც უფრო მდრწინდა.
 რგორღა შავსელო იმას ზიწუ? რგორ უთხრას ეს?

სემინარიის სამმართველომ, რექტორის წინადადებით,

დანიშნა აკადემიაში გასაგზავნათ ისეთი შიში, რომელიც
 გაკვირვებული ფორმის მეტი არა იყო რა. შიშველმა და მე-
 რემ უაჩი განაცხადეს, წადგანაც იგინი საუნევექსიტეტოთ
 კმზადებოდნენ, მესამეს წილი არ არგუნეს და თუნდა რომ
 ეკგუნებინათ კიდევ, ონისიძე მანც არ წავიდოდა, ჩემზე-
 დაც გადასტენ, გულ-დიდაძეზედაც და დანიშნეს ისეთი გადა-
 ყრუებული ვინმე, რომელიც მხოლოდ იმით იყო შესანიშნი ზ
 საიმედოც, რომ ყოველთვის კლასებში დანარებოდა, მასწავლე-
 ბელს ყურწალსა და საწიქ-კალამს მიუტანდა სოლომე და კგ-
 ლესიაშიც ყოველ წიკვა-ლოცვასზედ სტიხარს იცვამდა. ამ
 ამბავმა ყველა შევირდებში ერთი ჩონჩოლი ასტესა. ყველა ამ-
 ბობდა—ნუ თუ ეგ უნდა წავიდეს რუსეთში და გახდეს წარ-
 მომადგენელად ქართველობის სასაღ-გაზდობისა? ნუ თუ მა-
 გიდგან უნდა შეადგინონ ექვსი მართელს ქართველობასზედ,
 —თუ რამდენათ არის ქართველი სალხი ნიჭიერი და რამდე-
 ნათაც შეუძლიან მის ტეინს განათლების მიღება! ამ კითხვებს
 თავი აუღო ჩვენში ონისიძემ, რომელიც, როგორც ეტყო-
 ბოდა, ბრახებზედ იყო მოსული. ამ გარემოებამ უფრო გუ-
 ლი მომიღბო მეც რუსეთისკენ გასამგზავრებლათ.

ონისიძეს იმ საღამოსვე შეეტყო, რისთვის ვიყავ დაბა-
 რებული დიდ-გულამის ნათესავისგან. ეს ეთქვა მისთვის თვით
 დიდ-გულამეს, რომელსაც ეთხოვა მისთვის, რომ შენც უჩიო,
 რომ წამოვიდეს რუსეთში, შენს რჩევას უფრო მიიღებსო.
 ონისიძეს მგონი არათუ ეთქვა მისთვის. მეც ჯერეთ არა-
 თუეს მეუბნებოდა, თითქო უცდიდა, რომ მე დამეწყო ღაზა-
 რაკი. მე კიდე არამდეთუ ვერ ვბედავდი იმის გამომუშავებას,
 რაც გულში ცუცხლივით მიტრიალებდა, არამედ იმისაც მრცხვე-
 ნოდა, რომ სიტყვას სხვა რამეზედაც ამოძელო. წარმოიდგი-

ნეთ, რომ თვალმა იმდენათ დაკარგა გაბედულობა, რომ შიკ-
 ზედ სწორედ ვეღარ შეძლებდნა რწინისძესთვის. ეს შემადგინა
 იმან და სიცილით მითხრა რუსთველის სიტყვები:

„რას ვუქმიბი დასწუგულდეს, რაზომც იყოს საქებაში,
 იმან სხვა უხმოს მკურნალი და მჯერს შემადგობაში,
 ჭინჭ თვისი მას უამბოს, სენი, ცუცხლთა მომდებარი,
 ჭ სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“!...

რასედ ხარ მაგრე დაფიქრებული, ჩემო გიორგი—დაუ-
 მატა ზედა—რას უეცარი დარდი ეწვია მაგ შენ გულს, რომ
 მაგრე მოღრუბლულ-ხარ! მითხარ, იქნება, შევიძლო, ამ რუს-
 თაველის სიტყვებისა ან იყოს, „სასარგებლო საუბარი“ შენ-
 თვისა.

მე ამ სიტყვებმა უფრო ბოლო მომიღეს, ენა დაძვება ჭ
 აქ უფრო შემტყვავა ჩემი პანაწინაობისა. ან ვიცი, რაგორ გა-
 თავდებოდა საქმე, რომ ამ შემთხვევამაც თითონვე ან მომხმა-
 რებოდა და გული ან მომიბრუნებინა ჩემთვის. რაღა გაკავრძე-
 ლა, გამოკრძედი უველაფერში. სიტყვა-სიტყვით უნამბე მას,
 რაც მითხრა დიდ-გულამის ნათესავმა და იმითაც დაუბოლო-
 კე, რომ ან ვიცი, ძმავე, რა ვქნა, მეტქი. ვილანარაკეთ ვარგა
 ხანს ამ საგანზედ, ზვიდეო—დავიდეო და ბოლოს, ლანარაკის
 გათავების დროს, ასე მითხრა:

— რა გაეწობა, გასწი, ძმავე, შენ შემოთ, დაეწაფე იქ
 სწავლის სიტყობებს, მე კი დავდუნავ თავს, შევერევი ცხოვ-
 რების წუმბეში ჭ ლოკას დაუწეებ შესმისა და მწუნარებას. წადი
 ზევით, მაგრამ ან კი დაგავიწედე, რომ მე დაბლა ვიქნები და
 მანასადამე ჩემს სმას შენ ვეღარ გაიგებ, თუ პატა დაბლა ან

ჩამოხველ. ეტადე, რომ ხელი ჩამომაწოდო ზემოდგან და წამომაყენო, თუ ვინცობაა, დავეტი. წადი, წადი შენ იქით, და მე კი საწყალი ძღუდლის გზას დაკადგები. მართალია, მეც მატენი აწა ვიცი რა, მაგრამ, იმედია, ამითაც შემიძლება ცოტა წამის მინც გაკეთება და თუ ვერას და ვერას გავხდო, ეს სომ მინც მექმნება სათქმელი ჩვენ უკვდავ ბარათაშვილთან.

„ტუდათ სომ მინც არ ჩივილის ეს განწირული სულის კვეთება...
 დ გზა უგალი, შემდეგში შენგნით თელილი, მერსანო ჩემო,
 მინც დაჩება“.

† მიხეილ ასათიანი.

(გაგრძელება იქნება)



მოკვინება.

ცა შეიჭმუნება და თვისი გვრგვინით
 ჭკეუნებას რისხვით ემუქრებოდა, ხან ხვალ თვედ
 ხან მწარე ქარი, ხან ნიკვ ღვარძი
 სულ ყველას ხანოქმას დაჭმირებოდა.
 აქ დრუბელი, ჩამოწოლილი,
 ჭექა-ჭუსილით მთას აშინებდა,
 აქა სულ-დგმული, სულ-განახული,
 შესატარ კუთხეს იმალებადა.
 ძაღლსა, კატასა და მთლათ სულდგმულსა
 შიშისა წარი თავს დასცემოდა.
 ეს ხედი გულიც მთლათ დაღაღული,
 წღვასაებრ დელვას მოჭყოლებიყო,
 ტალღების ცემით, სევდასთან ბრძოლით,
 მოულოდნელ: თ განგმირულიყო.
 ვითომცა ამ დროს, გულს აწ სანამოს,
 სულ ძაღლსა მთასე ავსულკეიყავი;
 .
 ძაღლსა ფერდოზე დაკმკდაწვიყავი,
 .
 ჭკეუნებას ძაღლზე ვემუქრებოდა,

დადგინებასა მე მას ვუჩვენებდი.
 ჭეჭა-ჭეხილი და ქაჩიშხალი
 უღარდელათა გარს მეკლებოდნენ,
 ჩემს გასაწობათ, ჩემს გასასაჩათ
 მთის გაშორებას მიქადაგებდნენ;
 მწარე ფიქრები, ვითა ისრები,
 შხამიანთა გულს ედებოდნენ
 და უფრო ღელავით, უზომო სევდით,
 გულს გასაწობათ არ დაინდობდნენ.

აღელვებულ გულს დამიმშვიდებდა,
 ღახვარის ნაცვლათ, ჭეშმარიტების
 ტაძრისა მკვიდრათ დამისახვიდა;
 ჭმუნვის ღრუბელი და ცხენბანი
 ტბილ იმედებთ შემეცვლებოდნენ
 და სინარული, შუება და ღვინი
 „ურწმუნო“ გულში ხანაკლებოდნენ.

II

ვიფქვ უძრავათ და ფიქრი ფიქრზე
 დადასრულ ჭეუას ემატებოდა,
 გრძობათა ბრძოლას, თან ქაჩიშხალი
 გულის ფიცარსა აძვარ-ძვარებდა.
 ბეკრჯელ ნიშანი შავის ბედისა —
 ყვავი-ყორანი დამყრანტალებდა:

სულეველს უფსკრულს მიეცემოდა.
 თანაც ვხედავდი, ჭექა-ქუხილი
 უფრო და უფრო ძლიერდებოდა,
 ძეხი, მიწის ძეხს და ქაჩიშხალი
 კლდეებს უჩივსვსა განადგურებდა.
 ხავშეების კენესა, დედის ტირილი
 თვით უსულესაც აატირებდა,
 ამათი წყევლს და ბედის კრულს
 უგრძნობსა გულსაც გააღვიძებდა.
 შეიძრა ბნელი, შეკრთა ქვესგნელი,
 მდეკები შეკრთნენ, ზარ-დაცემულნი,
 და თვის გახენის დღესა სწუველიდნენ
 ხაფხის ტვინისა გამომწოკვლნი,
 გაიჭლვა მიწა და ჩაიტანა,
 ვინც ცოდვის ლულით მიწას ავსებდა,

X

III

მხეტთა აღრევა — ქვეყნის მდეკები
 ერთი. ერთმანეთს ხორცსა აგლეჯდნენ,
 ვხედავ, გველები, მორიულები
 ცოცხლებსვე ამათ თავს დაჭხეკოდნენ
 და, ვით დამხალს ლემს, უვაგ-უორან-სვანნი
 გასაგლეჯავათ ლომს დასცემოდნენ.
 აჟ ამ საოცარ სანახავშია

უცებ მომესმა ხმა სანატრელი,
ხმა დამხილის, ხმა საამური,
ხმა, ვაჭთა გულის ამღვლელებელი:

X

წანწემდა ბოროტი და ბნელიც გაქრა,
ქვეყნას მარტო მზე ანათებს
ჩემ შორი-ახლას ჟვილი ქალი
გულს-მოდგინებით «ვამს» დასძახებს,
თავს დასტრიალებს დაუფალავათ,
და გაამხეკებს საუკრელ გმირებს.
აღვისა ტანი, ვით ნორჩი წნელი,

სიმხნით გავსილი მეფის თვალები
ისერიან კურცხლას ბოლოს კურცხლზე.
ქალის მხნეობა, ამის გმირობა
ლახარის სულსაც გამაგრებდა,
მისი სიტყვები და მოძრაობა
ამ ჩემ გულსაც კი ისრათ ხვდებოდა:
წამოვდექ მარდათ, შეშოფოთებული.

მაგრამ... დახედეთ ჩემ ბედ-შაობას —
აქ მე უეცრივ გამომეღვიძა.
ათასში ვკბდე და ჩემსა ახლო
სათი ნანას მეუბნებოდა,
გულიც მიკვნესდა, სისხლიც მიდუღდა —

ბაკალი გაკეთ. — გულსა მოწუენილს



აწვის ძახილი აწსით ესმოდა
 ვსთქვი თუ სიკვდილი სჯობს სიტყვსა,
 და თვალნიც მწარეთ მეტყეპლებოდა.

პავლე კრუჭიაშვილი

იანვრის 2. 1882 წ.



სამწერლო ნატვრა.

ნიშნად ოთხისა სახარებისა
 ახალ წელიწადს მივუკვებით,
 სასიხარულოთ ქართველებისა,
 ოთხის ქართულის უუჩნალ-გაზრეთით.—
 ჩვეულებისებრ ახლის წლისა,
 ვინატრით მათთვის წარმატებასა,
 ვინატრით იუვენე კეთილ კვალისა
 და დაახწიონ თავი ვნებასა.
 გაცალკეებით, „დროებისთვის“
 ვინატრით ენის გასწორებასა,
 მოღვაწეობას ფართო მიზნისთვის
 და ჭრებისგან გაშორებასა;
 „ივერიისთვის“— უკვლას საძმოდ—
 თარგმანთ ბეჭდვისა დატოვებასა
 და ისტორიის სამაგიეროდ
 სხვა ნაწილების გავრცელებასა;
 „იმედისთვის“— მკითხველთ შოვნასა,
 „შრომისთვის“— შრომის დაფასებასა,
 და უკვლამათთვის დღეგრძელობასა,
 ბაჟისაგანაც თავ-ამკებასა.

გობრონ ლიხულა.

1 იანვარი 1882 წ.



საახალწლო.

სისულელე მომივიდა და ერთ ჩემ მეგობარს დავენამ-
 ლიე, რომ თუ ისეთი საახალწლო დავწერე, რომ იმის წაკით-
 ხვით ამ მეგობარს გული აუგანკალდა, მაშინ სანადლეო მე შე-
 რებო, თუ არა და — წაგებული ვიქნები. ნადლევის გამოცხა-
 დება ვი აჩ შემიძლიან — დამძახვენ — მწერალი კაცია და ემა-
 გისთანა კელურ რასმეზედ როგორ ენადლეკება! მაგრამ აქ
 წაგებ-მოგებაზედ არ არის საქმე. ძნელი ის გახლამთ, რომ
 ჩვენი საახალწლო თითონ ბუნებით ისეთი ფრთებ შეკვეტილია,
 რომ მისი აღწერა ძნელათ თუ ვისმეს აუგანკალებს გულსა.
 ეს ვიან, რომ განკალიც არის და განკალიც. მე და ჩემს მეგო-
 ბარს არ ვაგვისაზღვრავს, რა გვარი განკალი უნდა მოახდინოს
 „საახალწლო“ მის გულში — განკალი საამო და სანატრელი
 იმედების და სინარულისა, თუ განკალი უიმედობისა, წარ-
 დამტეში შიშისა წარსულში, აწმეოს და მომავალსა. მე,
 რასაკვირველია, ზირკელ ჯურის განკალს ეხლავე უნდა და-
 ვანებო თავი, აქ ჩვენ ქვეყანას სასიამოვნო მოგლენათა შორის,
 თითქო სამუდამით, რებობა მხოლოდ ერთი სიამოვნება, რომ-
 ძელიც ისტება ნაირ-ნაირ ჩურჩხელა-ლეღვის - ჩირებში, ნულ-
 ლებ-კამფეტებში და უფრო მომეტებულათ ჩვენებურ გოზი-
 ნაჟში, რომელიც მართლა მეოვეა ახალი წელიწადისა და რომ-
 ძელსაც ჭირი მოსჭამოს დანარჩენმა ხმელ-ხილეულობამ. მარ-

თაღრიც კი უნდა თქვას კაცმა, რეგორც ღირს ყოველი გულ-
კეთილი ქართველისათვის, რომ თამაშთ აიღებს ხელში თავის
სახლში გაკეთებულ გოზინაყსა და მიაწოდის კეთილის მყო-
ფელს—აგრე ტუბილათ დამიბურდიო? ანც ის არის ურიგო, რომ
ინაყჩაყებს თუ არა სოფლათ, გაეღება გარედგან კარნი ღ პირვე-
ლათ თვალში გეცემა თავამდის მოყრილი ხონის სსკა-და-სსკა
ხილუელობით და ხორაგეულობით, ხონის მოსდეკს შუ-თანს
ხნის კაცი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ამ დილათ უთ-ყოთ
უმძისნა დედა-კაცთან, და შემოდის ამისთანა ლექსით:

„შემოდგი ფეხი,
გწყალობდეს ღმერთი—
ფეხი ჩემი,
კეალი ანგელისა“.

ხონის დასდებს ვანცლის თავსე, დაწეკს პირვეკარს,
ასენებს ღმერთსა და სისხამ დილაზე მოკამბრება ხელადს,
საიდგანაც კურკურით გადადის ღინო დალოცვილ „წითელ
გულში“. მერე მივა გამლიერებულ ცეცხლთან ღ ამ შემთხვე-
ვისთვის მოწყობილ მუნის მუგუზლებს დაუწეებს ჩინისხილს,
რომ ბეკრი ნაპეწელები გამოყარონ, და თანაც მიაყოლებს
აუცილებელ ნატკრას: „ღმერთმა მოგცესთ ამდენი ღორები თა-
ვის გოჭებით, ამთენი ცხვარი, ამთენი ძროხა, ცხენი, კამიჩი,
ამდენი ბიჭი, ამთენი გოგო, აი ამთენი ნეივე, ამთენი ჰატა-
რძალი, ასი ამთენი საფანელი და ათასი ამთენი სსცალო
ფეკვილი“. ახალ-წლის დღე ტუბილი დღეა. ყველა ცდილობს,
რომ არ გამოიჩინოს ბოროტება, რადგან ეშინიან არ დაეკე-
ბოს. ზღვის ოდენა ხილუელი გასადღება ხოლმე და სხვანი.

ამის მეტი არა არის რა შესანიშნავი ჩვენებურ სხალ-
წელიწადში.

* * *

სხვა რაღა გინდაო, მეტყვიან. ცხოვრების უმთავრესი
დანიშნულება იმაში მდგომარეობსო, რომ ყოველმა ადამიან-
მა სიამოვნებითა, სიტკბოებით გაატაროს თავისი დღენი,
სინაწრული და ქეიფი მომატებულათ შესვდეს ხალხეო.

ვინ რას ამბობს! ღმერთა დამიფაროს, რომ მე ვისმეს
ჩაუშნამო ან სიამოვნება ღ ან ლხინი. არც მე გასლავართ იმ
სუფულებთაგანი, რომელნიც ცხოვრებაში ასკეტობენ. გამო-
გიტყდებით კიდევცა, რომ, ჩემის აზრით, ცხოვრებაში უტკ-
ბესია, სამების ძალზე, სამი საგანი: უთუოთ კარგი ღვინო,
უთუოთ ლამაზი ქალი და, სხალ-დროების შემოტანილთაგან,
უთუოთ წარჩინებული შაშიროზი. ყოველივე ესეები უთუოთ
შირკული „სოცრისა“ უნდა იყოს, რომორც იტყვის ხალხე
ერთი ჩემ ნაწნობთაგანი. დანარჩენში შეიძლება კაცმა ინკლე-
ლოს კიდევცა, მაგრამ ეს სამი რამ კი აუცილებლათ საჭიროა
მისთვის. აქედან ცხადია, რომ მე სრულებითაც არა ვარ წი-
ნააღმდეგი დროების გატარებისა. მხოლოდ ესეც უნდა თქვას
კაცმა, რომ რაღაცა ღორობას წარმოადგენს, როდესაც მთელი
შენი ცხოვრება მიბჟენილია ერთ კერძო გუთნისკენ და ეს
გუთნეც შესდგება შენი სტომაქიდან. არ ვიცი კი, საიდგან
წარმოსდგება, მაგრამ კაცის სულს სჭირს ასეთი ციური, მა-
ღალი ავადმყოფობა, რომელიცა გტანჯავს და უცუცხლოთა
გწავს, როდესაც ქვეყანაზე „ცა ქუდათ არ მიგანჩია და დედა-
მიწა ქალამნათ“, უკეთუ შენი სტომაქი განუწყობტელ ფუფუნ-
ებაშია და ამ ფუფუნების გარდა არავითარ დანიშნულებას
აღარა სდევ რამე ფასსა და არ აძლევ ადგილს შენ ცხოვრე-

ბაში. რაც უნდა კეთილ-დღეობაში იყოს კაცი, რაც უნდა მო-
მეტებულნი სახსარი ჭქონდეს კაი ღვინის საშოვნელათაც, ლა-
მანი ქალების მოსაზრებლათაც, უკეთესი ვაზირის მოსაწყე-
რათაც და კიდევ ბევრი სხვა რამის შესაძინებლათ, მანც, თუ
კოველივე ესეები ემსახურება მარტო იმის სხეულის გალაღე-
ბას, — ასეთი კაცი ვერა პოულაბს განუწყვეტელ სიამოვნებას.
მისი სიამოვნება წუთიერია. უმეტესი ნაწილი იმისი ღრუბლისა
მუდამ ჩამწარებული, მოშსამული, მოხიბლულია. თუმცა უმ-
რავლესობის აზრით ასეთი ცხოვრება შეადგენს კაცის იდეალს,
სანატრელ ბედნიერებას, მაგრამ ეს მეტათ შემცდარი აზრია.
თითონ ესავე უმრავლესობა ეწინააღმდეგება ამ ნეტარებას,
მუდამ მტერია ასეთი იდეალის გამხრტილებელისა და იმავე
ამის მეტს ვერას გაიგონებ მის ენა-პირისგან.

— ეგ ადამიანი კი არ არის, ეგ არის ღარი, რომელიცა
ფიქრობს, რომ ოღონდ კარგათ იყოს, თითონ არა დააკლდეს
რა თავის ფაშვისთვის და თუნდა ქვა-ქვასკედაც არ იყოს.

მასსადაც, სტომიქის გალაღებაში კიდევ არა ყოფილა
ის საშუალება, რომელიც კაცს გადააქცევს ადამიანათ. ადამიან-
ობა სხვა რამეში ინსტრუქცია და ეს ადამიანობაც ისეთი რამ
საჭირო ყოფილა, ისეთი სასურველი და სანატრელი საქონელი,
ურთმლისობაც შეგნიდგან ღრღნის კაცსა, არ ამოეკოს მოსკე-
ნებას, და კარდგან კიდევ აჭურის პატივს, აკლებს ხალხის
სიყვარულსა და უყრადღებას. ეს არის საზოგადო განონი. და
ამიტომ ასრეთ წოდებული „ადამიანობა“ შეადგენს საყოველ-
თაო ავანტიურობასა. აბა, შესდეთ მაგალითს. ერთს გლეხს
უბრათოთ ესესხა მდიდარი კაცისგან რცა თუძანი ფული,
შაეკრა ათამდის ტივი, ჩამოეტანა გასასყიდლათ. მაგრამ რი-
გინი მუშტარი ვერ ემოვნა, ტივების გასაღება შემოჭკვიანე-



ბოდა და მოკვლესთვის დროზე კერ ჩაებადებინა ფული. მოკვლემ უჩივლა სამარტალში. გლეხმა დაიჭირა ადვოკატი, წადგანაც ეშინოდა, რომ ტიკუბი წაწაღით არ გაუფილნებინათ, და თითონაც წავიდა სასამარტალში. ადვოკატმა შიშდა-შიშ „ატკაზი“ უფო მოკვლეს. —

— შენ არა გისესხებიან რა ამ გლეხისთვისაო, თორემ ხარათი გეჭირებოა.

— რადესაც „ატკაზი“ გამოუცხადეს გლეხსა, იმან დაიკრა გულზე ხელი და გაჯავრებით წამოიძახა:

— ჭაი, დედი-ჩემი დემეტრას! მას მე კაცია ალარა ვუფილვარ, ქუდი ალარა მსურების და არც თედო მრქმეკვია, თუ მე ჩემ შიშ გმდავალ!

მერე მიუბრუნდა ადვოკატს თავ-დაუჭერი სიტყვებით:

— შე აკეთო და შე იკეთო! ვის ასხამ თავზე ლაფსა?! მე ხე გითხარა, რომ კესესე მავ კაცსა და არ მიმიცია, მეთქი!

ყველამ თვალები აჭყიტა თედოს «სისულელეზე» და განაბა სული. თედო მიტრიალდა მსაჯულისაკენ და უთხრა:

— ბატონო! მე ამ კაცს უარს არ ვეუბნები, ამისი ფული მმართებს და კიდევაც დიდი მადლობელივარ, რომ ხელი გამომართა, მაგრამ ესეა ისეა ჩემი საქმე. რომ ამ ცოტა ხანში კერ დაუბრუნებ, და ეს ადვოკატიც იმიტომ ტაკიჭირე, რომ ეშველნა ჩემთვის და ვადა მოემატებინა. ამასე მეტი მე არა მინდა რა. და თუ ვადას მიბრძებთ, მე თედო ალარა ვუფილვარ, თუ ამ ჩემ ხელის გამმართველს ფულიც არ დაუბრუნე და ისეთი მადლობაც არ გადაუხადე, რომ მართლს იმისი მოსაწონი!...

თედოს აკეთმა ლაშქარვამა, აკეთმა ადამიანობამ სწორეთ

მირიანი უცხო იმეტელს ხალხსაც, თვით მოკვალსაც და მსაჯულსაც. ერთი მხლელად აღგოგატი დაწია შერცხვენელი. აღტაცებისა და ბედნიერების იმეტელს ხალხისა მართთა სამხდარი ანა ჭქონდა. ყველას ეგონა, რომ დღეს დაუბადეო. მოხუცებულებმა თითქმის იტირეს სიამოვნებით, რომ კაცის ანსებაში ადამიანის სულმა გამოანათა თვალ-სახინო შუქით და ციურის მადლით. აღლავებულმა მსაჯულმა ჭკითხა თედოს:

— ერთი წელიწადი გეყოფა ვადათა, რომ გადაუნადო მოკვალს?

მოკვალემ ან დააწყადა თედოს პასუხი და აჩქარებით განცხადა:—

— ორი წელიწადი გახლდეს, ოღონდ მე ჩემი ნუ დამეკარგება.

თედომ უფრო მომატებულნი გულის სიმაგრე გამოიჩინა.

— ბეჭს ანა კონსკო, შენიჭიჩიძე, ჩემთვის ორი თვეც კმარა. ამ სახით თედომ აღისრულა წადილი და ვადაც მოიშორა. მაგრამ ამ უბრალო საქციელით ისეთი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ხალხში, რომ იმას ყველა ნაცნობი სულსაც ეი ანდობდა.

რათ მოხდა ასე? რა შექმნა თედოს სიტუციებით მსმენელებს, რომ ასეთი აღტაცებითა და სინაწულით მოისმინეს იმისი ლაპარაკი? თითქო დიდი რამ იყოს, ვიღაცა გულსი კაცი ივისრებს ვიღაც მდიდრის ვაჟსა თუ ანა! თითქო მსმენელებისთვის სულ ერთი არ იქნება, თედო დაჭკვნეტავდა ამ ოც თემანს თუ იმისი მოკვალე! იმათ ანც ანა შექმნებოდათ ამით და უფრო ნაკლებათ დააკლდებოდათ რამა. მაგრამ საქმე აქ ანც შემატებაზეა, ანც დაკლებაზედ. იმასაც გეტყვიო, რომ ყველა იქ მყოფისთვის ამ თედოს რომ დაეჩვიებინა

სათითაოთ რც-რცი თუმანი, ასეთი საჩუქარი ნაკლებ სიამოვნებას და აღტანებას ჩამოაგდებდა მათ გულში, ვიდრე ისა, რომ იმან ისე შჩისხანეთ გაჩნუმა გატინგიცებუელი ჭ მოლრკვილი ადოკატი და არ გადაუვიდა სვინიდისს.

მამასადაძე, აქ სულ სხვა ნაიჩი გარემოება თამაშობს ჭ ეს გარემოებაც ისეთი ტკბილი რამ არის, რომ აღქმატება ნივთიერ განძსა. ეს განჯამთ ის გაუგებარი სიიტკობება, რომელიც აკმაყოფილებს კაცის სულსა და ჭხვდებოდა შიგ გულის ფიტარში. სული ეძლევა ნეტარებას, როდესაც კაცი კაცში ჭხვდავს ადამიანის სახეს, მის ღირსების დაცვას.

*
**

მოგიუვანდი კიდევ მაგალითის ამის წინააღმდეგს, რომელიც ამ დღეებში მოხდა თბილისის სასამართლოში და რომელიც შეეხება ერთ ვიღაც ავანკობით გამდიდრებულ დანდურკოვს, რომელსაც, თუქცა რცი ათ-ასი თუმნის შექლება, სულ სესხით მოგროვებული, ჭქონია, მაგრამ ძალათ გაკოტრეიულა და მოვალეს მანეთში სამ კაპეივს აძლევს, და, რომელიც ამის გამოკერის ახანოში“ ჩასვს. ვილავარაკებდი იმ დაწვეწილ და საძაგელ შთახეჭდილებასე, რომელიც მოახდინა ამ ყოვლის გზით წამხდარმა, წაპილწულმა კაცმა მსმენელებსე; იმასე, თუ როგორ ერეოდათ გული უგანასუნელებს ამ დანდურკოვსე და როგორ როგორ თაქმის იმის საცემლათაც ექვებოდათ ხელები; მაგრამ რაკი ესასხაწლოსა ვწერ და ახალი წელი კიდევ ასეთი ტკბილია ჩვენთვის, ამიტომ არვიზამ იმასა, რომ ვისმეს ჩემწაროს ჩემი წყალობით გოზინაყის სიტკობება.

*
**

ჩვენ ამ რჩი მაგალითით იმის თქმა გვინდა, რომ მარ-

თავის კეთილი ცხოვრება სხეულის ან არის ურიგო, მაგრამ
 ნუ დავივიწყებთ, რომ კაცში რა არსებაა შესაგებული. ამ
 რა არსებას ერთმანეთზე აქვსო გადაბმული გული და უერთმან-
 ნეთათ ვერც გამოდგებიან. თუ ერთი მათგანი მომეტებულ
 უურვადლებში და ზატივშია, მაშინ მეორე უთავაზებს ხელმე
 პირველს ქიმუნჯებსა— „შე უღმერთო, მე რაღა დავაშავე, რა
 აგეთ დღეში ვარ ჩავარდნილიო“! ეს ქიმუნჯები ფერდებს აც-
 ლიან პირველს და ამწარებენ. ერთი გახლამთ სტომქი, მეორე
 —კაცის სული, ანუ ფსიხიური არსება. ამასთან ისიც საუუ-
 რადლებია, რომ ეს უგანასკნელი ისე სწავლა-განათლების მი-
 ლებით და მეცნიერების შეთვისებით არა სალვათობს და სა-
 რობს, როგორც ზნეობითი სიკეთითა და ზატივსების გა-
 ტარებით ცხოვრებაში, სიმშრელითა და სვინიდისით, ერთი
 სიტყვით, ადამიანობით. აი კარგი და სასიამოვნო მაშინ არის
 წუთის სოფელი, როდესაც ეს რჩივე არსება ერთნაირ უურვადება-
 შია ჩვენის მხრით. მართალია, გოზინაყს ერთი მისხალი წუ-
 ნიც არ დედება, მეტადრე, როდესაც ის ხელგონურათ არის
 გაკეთებული, რომ სულ იმტკრება მოჭარბებული სიმაგრით და,
 გბილებს მოუტერ თუ არა, მაშინათვე დაგიდნება პირში,—ჭო,
 კარგია ასეთი გოზინაყი, კარგია ასალი წელიწადი, რომელ-
 საც მოაქვს ჩვენთვის ეს სიტკობება სტომქისა, მაგრამ ადა-
 მიანობამ, რომელიც ატკობს სულსა და გულს, ამ ადამიანო-
 ბამ რაღა დავაშავა?! ესეც თავისას თხროლდებს. „მიეცით კესა-
 რისა კესარისა და უფლისა ღმერთსა“.

* * *

რასაკვირველია, მკითხველი სამდურავით შამომბლვრავს:
 — როგორ, მაშ განა ჩვენ ისეთი უგანასკნელი ვინმეები
 ვართ, რომ სტომქის მეტი აღარა გვაგონდებოდეს რაღა

ადამიანობას კი ზურგს უქცევდეთ?! ვის ეუბნები მაგეთებს?!
შენ თავზე ილახავარკვე, თუ კარგიაო.

დაიწყნარე გული, ჩემო გაჯავრებულ მკითხველო —

აჩქარებითა ქვეყნის
აწავის მოუჭამინა».

ვევლათვერი შეგიძლიანთ სთქვამთ ჩემზე, მაგრამ ეგ კი
აშკარა ცილის-წამება იქნება, ვითომც მე ქართველ კაცს ვძრ-
ხავდე საზოგადოთ უადამიანობაში. სულაც არა. ქართველი
კაცი, ჩემის აზრით, თავის გადაჭარბებული გულ-კეთილდობით
არის დაღუბული. გულ-კეთილდობას კიდევ ერთი ბეწო ნაბიჯი-
და უვლია ადამიანობამდის.

ქართველების გულ-კეთილდობამა და სულ-გრძელებამ არ
გვიყო, რომ დღეს ჩვენში ერთს ვერა ნახავთ, რომ თითო ან
ორ-ორი სომეხი არ უჯდეს კარებში მრავალი «ისპოლნიტელ-
ნი ღისტებითა» და სულ განადგურებას არა ჭვირდებოდეს?!
რათა? რისთვის? — რათა და იმათა, რომ შეიღ-ას, რვა-ასი
წლის წინათ უდიერ გაჭირებაში იმყოფებოდა მთელი სომეხ-
თი. ცალ მხარეზე ოსმალები ადენდენ მტრებს, მეორე მხა-
რეზე სპარსელები უმრობდენ სისხლს, ისე მიაყენწეს, ისე
შეავიწროეს, ამოწვიტეს და ზნეობით დასტეს საწყალი სომ-
ხები ამ უღმერთო მურობლებმა, რომ თვით ამ ხალხის წარ-
მომადგენელი გაუდგენ მას ჭ უზირებდენ სრულებით მტრის
ხელში ჩაგდებას. მაშინ საქართველო წარმომადგენდა ძლიერს
ქვეყნას სიმდიდრითაც და განათლებითაც. სომხებმა სთხოვეს
ქართველ ხალხს დახმარება. ქართველები, თუ კი შეეძლებოდათ,
რას დაიხვედნენ უკან! მაშინათვე გაემგზავრნენ ტანჯული

ქრისტიანების მისაშველებლათ. უშველეს ვაჟ-გატყუართ, გაუ-
მართეს ხელი, მოაშორეს მტერი და უსასყიდლოთ დაბრუნდ-
ნენ თავის ქვეყანაში. ანამც თუ უშველეს უსასყიდლოთ, თი-
თონკე, როგორც შეშვენის ქრისტიანულ ხალხს, უჩიეს, რომ
ვისაც სომხეთში გემინანთ და ან გეტხროვებათ, წამოღით სა-
ქართველოშიო. ბევრი პატყი ან მოუნდათ. ვისაც მაგდენი
ანა ჩებოდა ან თავის ქვეყანაში, გამოიკრა ბოღნაში, ანც
ამ ებადა მცირედი, და გამოემგ საგრა საქართველოში. აქ
ჩვენი ხალხის წარმომადგენელებმა აუშენეს მათ მთელი ქალაქი
გორი და დასასხლეს — „ჭათ, შეილო, იცხროვრეთ შეუწუხებ-
ლივ და თავისუფლად. მცირესა ზედა კმაყოფილ იყავით, რომ
მრავალსა ზედა დაგამკვიდროსთ თქვენ უფალმაო. ჩვენც შეძლე-
ბისამებრ ხელს შეგიწყობთ—რა კჭნათ — ძმა ძმისთვის და ამ
დღისთვისაო“....

სომხები თურმე ასეთ სიტყვებზე ერთმანეთს უყურებდ-
ნენ და გულში იცინოდნენ—„გიყ ვრაცუეო! . . .
თურმე ნუ იტყვით, ამ ამბავზე გაცილებით ადრე სომხების
სამღვდელო პირებს განზრახვა ჭქანიათ თავიანთი საწმინდე-
ბის გაგრცელება ქართველებში. მაგრამ ქართველებს უთქვამთ
— თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვისაო, ანა გვინდა ან, ნუ
გაერევით ჩვენი სულის საქმეშიო. სომხების სამღვდელოებსა
ძალიან სწყენია ესა და მთელ სობოროში გადაუწვევების
ქართველების საშვილისშვილოთ დაწველა. დაუწვევლია აგრეთ-
ვე ყოველი სომეხი, რომელიც ქართველსა. . . , გაუწავს
რამე საკუთეს *).

*) «დროება» 1882 წ. იანვრის 9 ფელეტონი—მღვდელი დი-
მიტრი ჯანაშვილისა.

გორელი სომხები ნელა-ნელა შეჭევენ ჩვენ ხალხსა...
 ზნაი, ბატონო, შენი მუხლის ჭიჭიმეო, ეუბნებოდნენ თავადებს
 ტუბილის ენით, „ზნაი, ნათლიამამო, შენ გენაცვალოს ჩემი თავიო“,
 ელაყრებოდნენ გლეხებს — ამთავ, გულ-კეთილობის გამო,
 არ მოზდიოდათ თავში აზრი, რომ არიან ქვეყანაზე ისეთი
 მდაბალი და წამხდარი პირნი, რომელნიც თავის სიტუკებს ნა-
 გავის იფასს არ სდებენ, ლაზარაკობენ გამძას ერთსა და გულ-
 ში გი სხვა უღვესთ. ქართველი კაცი იყო მართალი და გულ-
 ლადი. იმას არ ჰქონია გაჭირება, რომ თავი დაემტკიცებინოს
 ხსკის წინაშე და არ ეთქვას ის, რაც გულში ჰქონოდა. მის-
 თვის ქალისა-მეფიარობა გაუგებარი იყო და კერ მიუხვდა სომ-
 ხის უშაკობას. ამანაც პირში ქებით და ლაქუცით გამოსტინტ-
 ლა, რაც გი იქ მოზობლობაში ქართველს ებდა რამა. ამობით,
 რასაკვირველია, . . . ეს მოულოდნელი ცვლილება, მეტამორ-
 ფოზა არ დარჩა გაუგებარი სამშობლოში, სომხეთში. იქ მალე
 მოიფინა ხმა, რომ საქართველოს ხალხი მდიდარია. . . .

. . . ზათეზობით ქალაქში ცხოვრება არ შეადგენს მაგ-
 რე რიგათ დიდებულებებს, კარგია და ძალიანაც კარგია ზათე-
 ხულში ამწვანებულ ველზე გრილათ დროების გატარება მამა-
 სადაძე საჭირთა სოფლათ გასვლა. კარგია, რომ სოფელშიც
 კაცსა ჰქონდეს საკუთარი სახლი, თავის გემოზე გაკეთებული.
 რადესაც ამისთანა . . .

*
* *

მაგრამ რაკი სიტუვამაც მოიტანა საქართველოს სომხებ-
 ზე ლაზარაკი, ბარამა ვთქვათ . . . თითო-ორლას სიტუვას
 და გველამუობით ლაზარაკი საზოგადოთ არ არის კარგი.

უძთავრესი თავის გამართლებს ზოგი სვინდიდისიერი სომ-
 ხისა იმაში მდგომარეობს, რომ თითო-ორლას მახინჯი მოკ-

ღენით არ შეიძლება საზოგადო აზრის შედგენა რომელსაღმ
ხალხსკდაო. აქაური სომხები სრულებითაც არ აწიან წარმო-
მადგენელი მთელი სომხეთისა.

ეს ყველაფერი ისეთსაკუ ჭეშმარიტებას შეადგენს, რომ
გორც ისა, რომ რჯულებ-არი რთისა. მე სრულებითაც არა
მაქვს სასეში, რომ დავსდო სომხეთს რამე წუნი იმის გამე-
აშკარებით, რომ მართლა ვარკი და პატრიარხანი ხალხის წვე-
რები ჩვენში ჩაიდენენ მეტათ უსამართლო, . . . რითაც გუ-
ნათლებული ხალხის თვალში სასულს უტყუნ თავის . . . სამ-
ობლას ღ ანცხვენენ იმას, ასეთი საქციელები ჭბადებენ რ
ხალხს შუა სიძულვილს და მტრობას. ამ გვარსი ლაპარაკით
მე ლაქის ჩამოცხრობა ვი არ მინდა სომხეთზე, არამედ, სხვა-
თაშორის, ჩემი საწადელი არის, რომ უკეთესმა წარმომადგე-
ნელებმა სომხეთის ხალხისა აღმადლონ თავიანთი ხმა, . . .
ღ დაარცხვინონ ისინი, ვისაც არათურათ მიანჩნათ ქვეყანასე არც
სამშობლას სასული, არც აღამიანის ზნეობითი ღირსება, ვინც
ყოველსაკუ ამაებს მსხვერპლათ მიუტანს უმდაბლეს სახსარს, . . .

მაშასადამე, აქ სრულებით უადგილო იქნება ლაპარაკი იმა-
ზე, ვითომც მე რამე მტრობა მქონდეს სომხეთისადმი, ვჭადა-
გებდე ჩვენი ხალხის უკეთესობაზე . . ჩემი გულითადი წადი-
ლი მდგომარეობს იმაში, რომ არამც-თუ მეზობლათ მეოფნი
ერნი იმყოფებოდნენ ერთმანეთთან განუწყვეტელ ძმურ კავშირ
ში, არამედ მთელი კაცთა ნათესაობა გადაბმული იყოს ერთმა-
ნეთზე სიყვარულითა ღ პატრიარხ-ცემით. ეს სიყვარული ხალხ-
თა შორის და ძმურ კავშირი შეადგენს უწმინდეს იდეალს
ყოველი განათლებული და პატრიარხანი კაცის თვალში. ამ იდეა-
ლის მიღწევისთვის ზურცილებლათ საჭიროა, რომ ყოველი გან-



ვითარებული ვაჭი სდევნიდეს, რომელიც კერძო ცხოვრებაში, აგრეთვე საზოგადო საზარესზე.

ღარწმუნებული ვარ, რომ ამ ღაზარაკის შემდეგ ყოველი სვინიდოსიერი . . . დამეთანხმება, რომ აგეთ საზარელ საქმეში თვალვებზე ხელის დაფარება არ ვარგა; რომ აქ არც ისა შეგულის, ვითომც, რაკი თითონ . . . ჰატოვ-საცემის თავისი ისტორიული არსებობით, ამიტომ აქაურმა რაც უნდათ ქანონ. არა თითონ . . . სიყვარული თხრობებს აგეთ მახინჯ შიკობას გაცხარებულ . . .

*
**

ამისთანა ღაზარაკზე მატონ ის მეთქმის, რომ სიმდიდრის მოსაზოგებლათ ათასნაირი იარაღია. რომელ იარაღსაც ამოიჩვენებს ვაჭი ცხოვრებაში, იმ იარაღით შეგიძლიანთ შეადგინოთ არც იმის შიკობებსზე, მის დიქსებსზე და ნაკლულებებსზე. შეიძლება, გახსნა, ასრეთ წოდებული, „ღრუების გასატარებელი“ სახლი, მეტადრე ღარიბ ქვეყანაში, სადაც უფამისეს ქალს ერთ გვერტსზე მოგყიდინა, აღონდ მოაშორეთ თავიდგან სახლობას. აქ შეგიძლიან, წასაკვირგელის, გამდიდრება ასეთი იარაღით, ასეთი ხელობით. შეიძლება, დაღუბის გზასე შემდგარ მთავრობას ენატლავათ დაადგე — იქაც ბევრ ფუფას იშოვნი. შეგიძლიან, ვაი ექიმი იყო — ესეც ფუფას მოგტეშ . . . ყოველივე აქ ჩამოთვლილ და ათას სხვა ხელობებით შეიძლება სიმდიდრის მოპოვება. მაგრამ რადგანაც სიმდიდრე არ არის ვაჭისთვის ისეთი უმაღლესი მიზანი, რომლის მისაღწევათ ყოველივე საშუალება გამართლდებოდეს, ამიტომ სულ მუდამ შეგიძლიან უსვინიდოსოთ და უნამუსოთ გამდიდრებულ ვაჭს შიკში ჩაათურთხონ და დაიზარონ ხელის

გაწვდა მისდამი, არ იკადრე მასთან ხმის ამოღება და ზე-
ვიდგან დაჭყურებდე მას.

აი ჩვენც ეხლა იმაზედ ვლავანჯობთ, რომ . . . ? განა სი-
ტრსვილია, რომ კაცმა გააბრთხილეს თავის მოძმე ცხოვრებაში,
ახვენს გზა პატიოსნებისა და შესწავლას უპატიური გზა?

* *

მაგრამ ზოგი კეთილ-გონიერი კაცი, როგორც სომეხი, აგრეთ-
ვე ქართველი, გამამტყუნებს მე და მეტყვის . . . უოკელ ხალხსა
აქვს ბუნებითი უფლება, რომ იცხოვროს. სომეხი რა არის და
ქართველი რა არის! . . . მანც რომ გამოეჩნეოდნენ თითო-
ერთელა ქართველი, რომელთაც ეგ სიმდიდრე ჩაუვანდებოდათ
ხელთა და თავანთ დღე-გძელობისთვის მოხმაცადნენ. სი-
სქართველასთვის ეგ სულ ერთი იქნებოდა. ხალხს მაგითი
არა შეემატებოდა-რას. და ამიტომ მაგ საგანზე ლავანჯობი არ
არის მოსაწონი, მეტადრე მაშინ, როდესაც ქართველები და
სომეხები ერთ ბედ-იღბალში არიან. . . სულ ერთია—ქართვე-
ლების ხელში იქნება ჩვენი სიმდიდრე თუ სომეხებისაში .

ამაჲდისინ ისე უოფილს და ჯერ კიდევ კარგა ხანს გას-
ტანს, რომ თვისიური მუშაობა უმრავლესობის კისერზე უო-
ფილს მიბჯენილი და ამ მუშაობის შედეგი, ნაუოფი მიდენილს
უმცირესობისაკენ, რომელიც განთავისუფლებული უოფილს
შრომიდგან. ეს უმცირესობა, უფრო სშირათ, უჩიგოთა სარ-
გებლობდა თავის გარემოებით, ცუდათ ხმარობდა ხალხის სარ-
ხოს, ჭფლანგავდა ათასნაირ სისამაგლეზე. მაგრამ ხანდისხან
მათში გამოეჩნეოდნენ პირნი, რომელთაც სმაგდათ პირუტყვი-
ლი ცხოვრება და ელტოდნენ მალა სიამოვნებას — გონების
გახსნილობას, გულის გასუფთავებას, მოძმის ბედის გაუმჯო-
ბესობას. ამ ღტოლვაში ისინი აწუდებოდნენ სშირათ ბეჭ



გარკ აზრს, ბერს სამეცნიერო ჭეშმარიტებას, ბერს სსსარ-
გებლად გზას. დრო ბერი ჭქნდათ, შეძლება არ აკლდათ და
კიდევაც ხმარობდნენ ამ ორთავეს ისე სკინიდასიერათ, რომ
აფუძნებდნენ სწავლა-განათლებას, მეცნიერებას, სკლობას და
ბერსაც სხვა სსსარგებლად იარაღს. მერე ცდილობდნენ, რომ
თავიანთი მეცადინეობის ნაყოფი გარდაცვათ ხალხისთვის, გაე-
გრცელებინათ მასში, აწივათ მისი გონებითი ძალა, გაეფა-
ჭიზებინათ სამოქალაქო განწყობილება, საზოგადოებრივი წე-
სები, ერთი სიტყვით, ბატონსურათ ესკიმდღვანულათ ხალ-
ხისთვის და უნებოთ გარდაესადნათ მისთვის ისა, რაც იმან
უძღვნა მათ მატერიალურათ. ამ სახით, მდიდარი წოდება,
თემცა ძალიან ძნელათ, მაგრამ მანც სამაგიეროს უწევდა უმ-
რავლესობას, საჩხოს მშოგებულს, ფიზიკურ მუშას, და მარ-
თალია მძიმეთ, მაგრამ მანც ხალხის ჭკვა-გონება, მისი ბედ-
ილბალი უკეთესობის გზაზე დგებოდა. . . .

ბული რამ საზოგადოება ან სწავლა-განათლების გასავრცელებ-
ლათ, ან ღარიბ მოსწავლეთა სკლის შესწავლათ, არც ერ-
თისთვის და არც მეორესთვის. რაც გინდ ნიჭიერი მწერალი
იყოს, გერას გნხდება ჩვენში, რადგან მას თითქმის არავინ
კუთლება მკითხველი — შეუძლებლობისგამო, მოუცლელობის-
გამო ჩვენი ხალხი ვერც წიგნსა უიღულობს, ვერც გასეთს
იწერს და ვერც უყრნაღს. ამიტომ, რასაკვირველია, რომ ნი-
ჭიერი კაცი აგდებს ძირს კაღამს ღ ისეთ რამეს გამოუდგება
ხალხი, სადაც უნდა დაიხმოს მისი გონების ღირსება. აგრეთ-
ვე აქტიური აიღე, აგრეთვე პრაქტიკული მოქმედი რომელსამე
საზოგადო ახსარესზე. . . .

*
* *

ეს უკვლავიერი ძალიან გარკი, მაგრამ რატომ ისე მომი-

კიდა, რომ „სახალწლოს“ მაგიერ საყოველწილოდ მამისდა
 ღაზანკაი ღ კერტი გავიგე აქამდის! ალბათ ეშველებოდა,
 . . . მაინც ნუ გავწყვეტავთ ღაზანკაის ძათსა და მალეც
 გავიდეთ ბოლომდის.

მე ვამბობ რომ ქართველი კაცი არ არის უდამიანო,
 უგულო. მხლელად, ჩემის შესედულობით, უჩიგო არ იქნება,
 ამ ადამიანობასა ჭქონდეს განწყვეტილი სარჩო, სასტიკათ
 შეჩეული. უნდა გამოგტყდეთ, რომ ეს ჩვენი თვისება, გულ-
 კეთილობა, არის უკეთესი სამკვიდრო ძველი დროებისა, გად-
 მოსული ჩვენსედ უწინდელი ნათელი. მასსედ ჩვენ არ გვი-
 მუშავნია: მზა-მზარეულათ გადმოუციათ ჩვენთვის მამა-ზაპებს.
 ჩვენ უნდა რაზავ ხელებით დაკეჭიდნეთ მას ღ არავის დავანებოთ,

მეც ამ სახალწლოთი ვინატრებ ქართველებისათვის, რომ
 სრეთ ღიხსეულ თვისებას, რეგარნიც არის ჩვენი გულ-კეთი-
 ლობა, ეზარნოს ისეთი საზრდო, რომელსაც შექმლოს სრული
 მისი დაკმაყოფილება, დატებობა . . . ჩემი საუკედური ქართ-
 ველებისადმი მხლელად იმაში მდგომარეობს, რომ აქამდის
 რიგინათ გეც გავგიგია ჩვენი მდგომარეობა და ამიტომ, რა-
 საკვირველია, არც ხეიჩინათ გვესმის ჩვენი მარტებელი იარა-
 ლები . . . ვისურვებ, რომ ეს . . . ძილი გადაგვექცეს ამას
 იქით მკაცრ სიფხინსლეთ.

ქიზიუელი.

სუსტი და მძლავრი.

თავანსა გცემ, მას რა გიყო.

მე უწყალოდ წვალებულმა?

უნდა ძალა-უნებურათ

შემოგცინოს ჩემმა გულმა.

—

შეგაბურვიარ სუსტი მძლავრსა,

ვით შეიპურებს კატას ლომი;

ვით გაკბულა—გაგიცხადო

მე უძლურმა ბატონს ომი?

—

მეტ კაცი ვარ, შემიბრალე!

აღარ მიდგა მკლავში ღონე;

შენ კი ამბობ: «რატ გინდა სთქვი,

ბატონი ვარ—დაგიომნე;

—

„უნდა ეგრე შემსახურო!

რატ გაიბანო—გაიგონე!

„გატი ვარო“?! ვის უბედავ,

ან საიდგან მოიგონე?!

—

„რასა რეატავ, გლეხო ბრეყო,

უგუნურო, მსეტო მუშა!

თუ რამე გაცი უფილიუსე,
შენი საქმე რამ დათუშა“?...
—

ძლიერი ხარ და დამტინი,
მეუბნები—«მხეცო მუშა!»!...

[Faint, mostly illegible bleed-through text from the reverse side of the page is visible throughout the page. A handwritten signature or scribble is present on the right side.]

როდის იძნეება.

როდის იქნება შევიკრიბოთ, ძმანო, ერთად
და დავაუვიროთ კიდით-კიდეს მკვნესი ნაღარა,
მის ტკბილსა ხმაზედ მხიარულად—გიჟმაყურადა,
თავისუფლად ვთამაშობდეთ აღმარ-დაღმარა?!

როდის იქნება გარდგვეხვიოს ძმურათ ხელები,
სუფით და გულთ ერთად . . . გამზადებულთა,
წინ მიგვიძღოდეს სიუკარული, ფრთებით შესხმული,
და ჩვენს . . . მხრებს აბეჭტოდეს განსარებული?!

როდის იქნება შრომის შვილსა პირი მოვებნათ,
აღარა სწვამდეს ნაკადული ცხელის რთლისა,
შეკძლათ იმდენი—დაჩაგრულსა გული გუნარათ,
უმეცრებისა და ტანჯვისგან სულ გალასულსა?!

როდის იქნება გულს მოგვეჭიდოს ტანჯულთა ბუდი
აგერ იხვეწის «მომეშველეთო» «შავის» ძმის სული,
თვალ-ცრემლიანი, ქვაზედა ზის, ძონძ მოხვეული,
დაჩაგრული, მუშტის ტრლათა ამოხუზული!...

დ. რ—ვ—კ—ლი.

Handwritten signature



ქართული თეატრი.

I

ერთხელა და ორჯერ ან უსუვედურწინათ ჩვენთვის, რომ აგერ მთელი ერთი წელიწადი სრულდება «იძუდის» აწსებობისა, და აქამდის ამ ყურწნას სძია ან ამოუღია ანც საზოგადოთ თეატრზე, და ანც კერძოთ ქართულ თეატრზე. ბევრი დარწმუნებულაცი აწის, ვითომც ეს სძის ამოუღებლობა ამტკიცებს იმასა, რომ ჩვენი ყურწნასი შესედეულობით თეატრი საზოგადოთ ისეთი უმნიშვნელა მოვლენა აწის, რომ იგი ანც ვი ღიწს ჭკვიანი კაცის ყურწდლებათ. და ამიტომ, ვითომც ჩვენთვის სულ ერთია, წა ნაირ მდგომარეობაშიც უნდა იყოს ჩვენი თეატრი — კარგა მიდის იმისი საქმე თუ ავათ, აქვს ხეიწინი შეესები თუ აწა, ჭყავს რიგინი, შემწადებული აქტიორები თუ უკანასკნელნი ცალ ფაწათ აწა ღიწან, აწის ქართული საზოგადოება, რამელიც თანაუგრძობს ამ საქმეს, ცდილობს მის ფეწზე დადგენას, თუ ეს თეატრი თავისთავათ მიდის ხელ-შეუწეობლივ და ვისგანმე გულ-შეუტკივწათ. ერთის სიტყვით ჭკონათ, ვითომც «იძუდს» აწაფწათ მინწინა თეატრი და აწა რისთვის გაიწჷებოდა მასზე ღაწანაკით!

მაგრამ ვადვიარებთ, რომ ეს მეტათ შემეცდარნი აწრია. ანც ერთი საყოველთაო ყურწნალი აწ იტყვის, რომ თეატრის

საქმე მისთვის არაფერს შეადგენდეს. რეგორც ერთი ღ ღ რჩი
 რჩანა ქვეყნის აზრის გამოსათქმელათ, საზოგადო შესუდუ-
 ლობის საღვინებლათ, თეატრი არის აუცილებელი გუთვნილე-
 ბა ცხორებისა განათლების გზასუ. მეტადრე ისეთი ხალხის-
 თვის, ვინც ჯერ თავლებს იფშენეტავს, ის კია დაუსწევია თა-
 ვი უკუნითი ლეტარგიული ძილისგან და ცნობის მოუვარე-
 ბით შესტქერის თავის გარემოებას, ამისთანა ხალხისთვის
 თეატრი არის უკეთესი სასწორი, რითაც იგი სწონავს კარგსა
 და ავსა, აიღებს და დაიღებს, რომ თავისი შესუდულობა
 ცხორებასუ ააშენოს საფუძვლიან საძირკვლის ჩაგდების შემ-
 დებ.

ეს ასეც უნდა იყოს. ქვეყანა, სადაც არ არის საზოგადო
 აზრი გამორკვეული და დაფუძნებული, სადაც მწერლობას არა
 აქვს ჯეროვანი გზა, გაკვერილი მეთხველების ყურადღებისად-
 მი, სადაც საქვეყნო სასარგებლო საქმეებს არ გაუდგამთ ფეს-
 ვები ხალხის წარმომადგენელთა გულში, სადაც არ გამავრე-
 ბულა საზოგადო ძარღვი, რომელიც ერთის ძალითა სტემდეს
 ყველას არსებაში, ერთი მხრისკენ იყოს მიქცეული, ეს მხარეც
 შეადგენდეს ამ ხალხის ბედნიერებას, — ამისთანა ხალხში
 თეატრს შეუძლია გაუწიოს დიდი მოღვაწეობა საზოგადო საქ-
 მეს, ქვეყნის დღეგრძელობას. ამისთანა დროს თეატრი თითქ-
 მის მისწრებას, თუ კი იმას ესმის თავისი მოვალეობა და
 წმინდათაც ასრულებს იმას.

ძანთლათაც ხალხი, რომელსაც არტუია ზემოთ ჩამო-
 თვლილი გარემოება და ჯერ ისეუ ბორონი არ მოუცილებია,
 რა თქმა უნდა, ელტვის კერძო ინტერესებს, მისი შვილინი გა-
 ქსაქსულები არიან და ყველა მათგანი მისდევს თავის საკუ-
 თარ გზას, რომელიც დანარჩენისთვის უცნობი და უსარგებ-

ლას ან განუჩქველი. ყველა მათგანი უყურებს ცხოვრებას თავის ვიწრო და გეგმო კუნჭულიდგან. მისი თვალები ჰკერვრ განჩქვენ იმ მოკლენათა, რომელთაც აქვსთ საყოველთაო ხასიათი. შესვდება მრავალ გარემოებათა, მაგრამ არ ესმის მისი საზოგადო მნიშვნელობა. აქედნ სჯლის წარმომადგენელნი არ არიან ერთმანეთზე გადაბოულნი რომელიმე ძალადი კავშირით. მათი მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან განისაზღვრება ან დასწლოვებულნი ნათესაობით, ანუ მარტო კუჭის გამოსაკვებ ინტერესებით. ამისთანა გაუღვიძებულ საზოგადოებაში, მეტად რე უკანასკნელ გარემოებას თუ უჭირავს რამ ადგილი. თორემ სხვა თითქმის არა შეგსვდებათ რა.

რომელ საშუალებას შეუძლია ასეთი დაქსაქსული არსებების შეკვრევა, მათი ურთიერთა სიყვარული, ხელი-ხელთ გადაბმა და ერთათ, საზოგადოებრივთ გამგზავრება საკეთილთ საქმისკენ? რასაკვირველია, ისეთ საშუალებას, რომელიც მათ დაანახებებს, რომ ერთმანეთის თავი მათთვის ჭამა-სმასზე ნაკლებ საჭიროებას არ შეადგენს, რომ ცხოვრებაში მარტო კუჭი არ არის პირველი და უკანასკნელი განმი კარცისთვის, რომ არიან მრავალნი ზნეობითი თვისებანი, რომელთაც ყველანაშე უძვირფასესი ადგილი უჭირამთ ქვეყანაზე.

რასაკვირველია, ამისთანა დროს კარგია, რომ ხალხსა ჭეჟანდეს ისეთი პირნი, რომელნიც არიან აღჭურვილნი სამოქალაქო გრძობითა და აშკარათ მოქმედებენ რომელსამე საზოგადო ასპარეზზე ქვეყნის სასარგებლოთ. კარგნი არიან ამ დროს საქვეყნო არსების მქადაგებელნი . . . , რომელნიც განუტსრომლათ ჩასმასიან ხალხს ძალად წადილებს და აღძრვენ მათში საყოველთაო დღე-გრძელობისკენ მიდრეკილებას. კარგია ამ დროს დასკოლოვნებულნი და მომწიფებულნი



მწერლობა — მაგრამ ამ პატიოსან საშუალებებთან უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს თეატრს და ბევრჯერ თითქმის კიდევ აღმტება იმ უკვლავ ზევით მოხსენებულ იარაღებს. გაუნათლებელ კაცზე წაგითხული ნაკლება მოქმედობს, ვიდრე თავის თვალთ დანახული, თავის ყურით გაგონილი, თვით მოქმედებაში გამოსატყუდი აზრი. ლაზათიანი სიტყვა, მაღალი ქადაგება ხშირათ ვერა ზოგჯერ გზას კაცის გულთან ისე, როგორც თითონ საქმე, რომელიც დაუღვია კისერზე მოქმედ ზიზსა.

ამასთან თეატრს ერთი კაი ჭირიც სჭირს, რომ აქ კაცს შეუძლიან აშკარათ დაინახონ, თუ რომელი აზრი უფრო ადვილათ გაივლის ხალხში, რომელი მიმართულება უფრო გასაგებია მისთვის, რომელს უფრო დიდს პატივს სცემს ხალხი და რას უფრო გულ-გრილათ ეკიდება, რომელი მოკლე-ნის დახატვას შეუძლიან მისი შეერთება ზ რომლისთვის უფრო უტემს გული? ეს ზომაც, უნდა მოგახსენოთ, ბევრით უადვილებს მოქმედ კაცს საზოგადო საქმეს. შეგიძლიან, თუ გაქვს ნიჭი, თეატრის ასპარეზზე განდე მართლ სასარგებლო კაცი, მოიტანო მთელი ის საჩუკებლობა, რაც კი შენი მომზადებულობით შეგიძლიან.

ერთი სიტყვით, „იმედის“ აზრი თეატრზე სრულებით არ არის ისეთი განურჩეველი, როგორცაა გვაწერენ. „იმედსა“ ჭგონია, რომ თეატრი შეადგენს დიდ საჭირებსა ჩვენი საზოგადოებისთვის ზ ადვილათ შეასრულებს თავის მისიას, თუ მას ექნება მიქცეული ჯერჯერანი ყურადღება.

II

აქამდის თუ ჩვენი ყურნალი ხმას ან იღებდა თეატრზე და მხალღად ესლა შეუდგა ამ საქმეს, ამის მიზეზებს წარმოგვიდგენს თითონ თეატრიკე. ჩვენი თეატრი დღევანდლადის ისეთი უდღეო მოკლენა რამ იყო, ჩვენს თვალში, რომ მასზედ ხმის ამოღება თითქმის გვეძინებოდა, მეტადრე სწორე სიტყვის თქმა, რადგანაც ეს სიტყვა ეგვიანებოდა მკვლარი კაცის ცემას. მარტლადაც და, რა მდგომარეობაში იყო დღევანდლადის ჩვენი თეატრი? — საცოდანკ მდგომარეობაში. იგი ჭკვანდა უძლეურს, ზიწ-იქით გადასწწნეულს, მომაკვდავ მთხოვარას, რომელსაც თითო-ორილად გულ-ჩვილი და შეძლებული კაცი სამადლოთ გადაუგდებდა ხალხე ათასში ერთხელ ლუკმას, რომ იმის საცოდობით ან გამწარებოდა ცხოვრების წუთი. ამასთან ქართული თეატრი თუ ან გასდა სიკვდილის მისხვერპლათ, ეგ მხალღად იმითი აიხსნება, რომ იგი სახატ-რიტო საგნათ გადაიქცა ჩვენში. ზუბლიკა იმიტომ კი ან დაიარებოდა თეატრში, რომ იქ შეესწავლა ჩვენი ცხოვრების მოკლენანი, მიეღო ესტეტიკური სიამოვნება, დატებო სმენა ჭე შეესვენა, აჩამედ იმიტომ, რომ სათაკილოდ მიანდა—ორგორ თუ საქართველს კრი მოკლებული უნდა იყოს ამისთანა საგანს, რგორც აჩის თეატრი! ვისაც კი თავი მიანდა, უთუოთ მიდიოდა თეატრში, რომ ეშველნა მისთვის თავის მხრით.

რადა თქმა უნდა, რომ რადესაც ამისთანა ზრინციზზე, ზატ-რიტულ თავ-მოყვარეობაზე, მივარდა საქმე, მაშინ ჩვენისთანა დამცირებულ ქვეყანაში, სადაც კალმუხის ქუდი, უურთ-მაჯუბიანი



ჭეუღაჯა დამატებული ჩვენებურის, ძველებურის, მდიდრულის დონჯითა—ითვლებიან უმთავრეს პატრიოტულ ნიშნებათ და დაც ამიტომ ასრე იშვიათა ნამდვილი გულ-მხურვალე მოღვაწენი . . . — ჭო, ამისთანა ხალხში მატრე ერთი პრინციპით, ისიც ნასაღზე გაგებულთ, შოხს ვერ წახვალ. რადესაც საქმე სამოწყალოთ გახდება, იმის ბედზე ხელი უნდა აიღო. უბრალო სასტუმრო—რესტორანებში ათი მანეთის დახარჯვა—გაფუჭება ნაკლებათ გიმნელდება, ვიდრე სამოწყალო საქმეზე ერთი აბანის შეწირვა. ამიტომაც არის, რომ საცადავი ჩვენი აქტიორები ტუავიდგანა ძვრებიან, მაგრამ მანც ვერ შოულაბენ ლუკმა პურს უსაყვადურათ.

რასაკვირველია, მკითხველმა წინათვე უნდა იცოდეს, რომ თეატრის ასეთ დღეს ყველაზე მცირედ აქტიორების უნიჭობას ვაბრალებ. ჩემის აზრით, ჩვენმა აქტიორებმა საკმაო ნიჭი გამოიჩინეს თავიანთ ხელობაში. მაგრამ რა ექნათ, რადესაც არა ჭქონდათ ისეთი პიესები, რომლის წარმოდგენათაც მიემხროთ პუბლიკა თავიანთკენ? იქამდის გაუჭირდათ საწყლებს საქმე, რომ ადგენენ და თითონვე შეუდგენენ პიესების წეხას, თარგმნას, რადგან იმათ არ აკმაყოფილებდნენ სხვების ნაწერები. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, შეიძლება, კაცი პირველი ხანაში იყოს და დერტიკობისა კი იჩინე არ ესმოდას. მაღიან წარჩინებული აქტიორი, შეიძლება, ფრიად უხეირო მწეწალი იყოს ასე, რომ ხანდისხან, იქნება, მოკითხვის წერილსაც ვერ მოასხერხებდეს რიგიანათ შეადგინოს. თუმიც არც ასეთები გამოდგნენ ჩვენი აქტიორები, ზოგმა მათგანმა კიდევ გამოიჩინეს ცოტადენი მწეწლობის ნაკლებიც, მაგრამ ასეთი ნაკლებებით, კხლანდელ დროში, დიდ ნახტომს ვეწა იქ. ჩვენ აქტიორებს რომ აქამდისინა ჭქონდათ ცოტათი

მანც ზიგანა რეპერტუარი, მაგათ თითქმის შექმლათ თავიანთი ნიჭით ქართული თეატრი მარტლას ფეხზედ დაუყენებინათ. და წადგანაც ამ აუცილებულ მასალას იგინი, საუბედურეთ, მოკლებულნი იუენენ, ამიტომ თითონაც სული კბილით ძლივს-და ეჭირათ. მოდი შენა და ამისთანა დაწვევლილ გარემოებაში მომწევდუელ კაცს მოატანე უგანდგან სახრითა და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი... ურტუი და ურტუი! რა გამოვიდა! სრულებით აწაფერი. მით მომეტებუჯათ, რომ ყველა მათგანი ჭკმინობდა თავის სიმართლეს და იცოდა, რომ იგი იყო მსხვერპლი ძალ-უმადლთა გარემოებისა. ამისთანა დროს კაცზე ხელის მიტანა სწორედ დანაშაულბაა. უფრო მაშინ, როდესაც ეს კაცი წაღაც ინსტიტუტიურათა ჭკმინობს, რომ დღეს არა, ხვალ მისთვისაც ამოაშუქებს ბრწინვალე მისე, გაუნათებს გზას, მიიყვანს ისეთ ადგილას, სადაც იგი თავის-უფლათ ამოისუნთქებს და ცოტა ხნის უგან კვირკვიან-დადგმული, თავის ნიჭით და პუბლიკის ქებით წახალისებული გამოგეტქიბება წინა, სიამითა და სინაწრულით მოცული.

აი მიზეზი, რომელიც ჩვენ არ გვალბებინებდა ხელში კალამს ქართულ თეატრზე სალაზარაკათ. ჩვენ სულ-გატყრენილი მოუთმენლათ ველადით დროს, როდესაც შეგვეძლო თამამათ ხმის ამოდება და როდესაც ჩვენ სიტყვებს არავინ მიიღებდა ტუილ წამახალისებულ ცბიერებათ.

III

ჩვენის აზრით, ესლა დაგვიდგა ეს ბედნიერი დრო. ქართულ თეატრს გაუთენდა კარგი ახალი წელიწადი. თუძცა ჟერ



სისრულე შოკის აჩის, მაგრამ დასაწყისში ისეთი მაგარი და ბარძქინი საძიკველი გამოიჩინა, რომ უძედაობას დღეის იქით აღარა აქვს ადგილი. ესლა შეიძლება იმედინათ შექმნონ კაცმა ქართული თეატრის ბედ-იღბალს.

ეს ბედნიერი დასაწყისი განსაკუთრებით რძი ჩინებულად პიესა, რომელიც ამ ცოტა ხნებში რ-რჯვერ დაიდგა ქართულ სცენაზე და რ-რჯვერვე ნამდვილ აღტაცებაში მოიყვანა პუბლიკა. ერთ პიესასა ჭქვიან სახელათ „უჩინდი არსენა“ და ეკუთვნის უ. ყაზბეგის სალ-გაზდა კალამს, მერე — „სამშობლო“, რომლის გადმოძველებული არის უფრო გამოცდილი ძველადი უ. დ. ერისთავი.

როგორც სახლებიდან ჭხედავთ, „უჩინდი არსენა“ ჩვენი თვალის წინ ატრცხლებს იმ სახალხო გიძ არსენას, რომელზედაც ასე გავრცელებულია ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში მესტვირული ლექსი, იმ რძელაშვილ არსენას, რომელსაც . . .

. . . ისენიებს ყოველი ქართველი კაცი, თუძც ეს ისტორიული გიძი კანონს გარეთ ითვლებოდა თავის დროს, უჩინდათ იყო გასული და მისი თავი რქროზედ იყო დაფასებული. აქ მყურებელი ჭხედავს და უძმენს იმ არსენას, რომლის ქება . . .

. . . პატარობითვე ყურებოდა ჩვენებური მესტვირეებისგან ღ მრავალ სხვებისგან, რომელზედაც თითო-რძელა გუზღეტი ყველა ჩვენგანს თითონაც შეუძლიან წარმოესტკვას.

მაშასადამე, აქ ისეთი საგანია გამოყვანილი, რომელსაც ვერც ერთი ჩვენგანი ვერ მოკვიდება გულ-გრილათ.

არც ნაკლები ინტერესი აქვს ჩვენში საზოგადოათ სიტყვას — სამშობლო, მაგრამ უ. ერისთავის „სამშობლო“ ისეთი . . . რძი არის, ისეთ საგნებს შეეხება და ისეთი გიძიკ-

ბი აწიან შიგ დასატუენი, რომ მათი თვალის მომხრება
 მხელათ მოსასტყვებელია და მათი სტენაზე უნახველობა კიდე
 დანაშაულობა. რომელ ქართულ კაცსაც კი მოეპოვება ცალ-
 თვალი მანათი ანუ ექვსი შაური კენტათა და ან წავა თეატრ-
 ში „სამშობლოს“ სანახავათ, იმ ქართულ კაცსად მე შემოდინ
 ვსთქვა, რომ მას ან გამოუცდია ქვეყანაში უდიდესი სიამოვნება,
 . . . უმთავრესი მომქმედი პირი ამ პიესისა არის სვიმონ
 ლეონიძე, რომელიც ისეთი თვისებით არის შემკული, რომ
 მართლად ღირსია მთელი ბანასისა და რომელსაც მე შევსწინამ
 ცალკე სტატისა მომაკაღ თვეში, რადგანაც ბევრს გულზე მო-
 საჭიდ საგნებზე ჩაკვათქმებს ჩვენ ეს სწორეთ რომ კლას-
 სიკური პირი. ანც ეხლა დავიზარებდით მასედ ლამაზეს,
 მაგრამ სტატისა რომა ან გვამდეგს ნებას ამ ხელათ დიდი
 ხნით შეჩერებას ამ საგანსად, აქ მხოლოდ გთხოვთ მიაქციეთ /
 ყურადღება იმასა, თუ ეს პიესები რომელ მხარეს შეეხებიან
 ჩვენი ცხოვრებისას. რადგანც ქართული პიესები მწერლებს ანა-
 ჭქონდათ და ანც ეხლა აქვსთ სასტიკათ გამოჩვეული ანც
 პოლიტიკური და ანც სოციალოგიური შესედულობა ცხოვრ-
 კებაზე, ამიტომ ხან რას ედებოდნენ, ხან რასა — ხან ფიქ-
 რობდნენ, რომ ჩვენში სტენა დადგება ფერზე უკეთესი კლას-
 სიკური დრამატურების გადმოთარგმნით ქართულ ენაზე, ხან
 ეგონათ, რომ ჩვენი ცხოვრების სურათები, როგორც უნდა
 იყვნენ, უთუოთ მიიზიდავენ პუბლიკასათ. მაგრამ სინამდვილემ
 გაჩვენა, რომ ანც ერთი და ანც მეორე მწერლობა ან აკ-
 მყოფილებდა სტენის მოყვარეთა. მხოლოდ ესლა, ამ რჩი
 პიესის წარმოდგენამ გაჩვენა, რომ ჭა, როგორც იყო, ჩვენი
 დრამატურები უცბათ მიაწოდნენ ნამდვილ გზას, რომელსაც

არ უნდა გადაუხვიოს ქართულმა თეატრმა, თუ უნდა, რომ თავის საკუთარი უსაყვედურის სახსარი გაიზინოს ცხოვრებაში და შეასრულოს ის სამსახური, რომელიც აქვს ვალთ თეატრსა. ეს გზა გვაჩვენებს, რომ ქართულ პიესებში უნდა გავანალიზოთ იქონი აუცილებლათ ისეთი მსოფლიო მიმართულება, რომელიც თითონ ჩვენ ცხოვრებას შეეფერება, გასაგებია ჩვენი ხალხისთვისა.

ამით, რასაკვირველია, მე არ ვარ წინააღმდეგი უკეთესი ევროპული პიესისა, ანუ ჩვენი ცხოვრების სურათების დასატვისა. მე ვიდგენ ჩვენი ხალხის გონების ძალას და აქედან ვიფიქრობ, რომ ევროპულ პიესებს იგი არ დასდებს ნასალ ფასსა, ქართული ცხოვრების ესტეტიკურ სურათებს არ დააყენებს იმ ადგილზე, რომელიც მას ეკუთვნის, თუ ამ ორთავე რიგ მწერლობას არა აქვს მძლავრი საფუძველი ისეთი მსოფლიო აზრისა, რომელთანაც ჩვენ მიგვიყვანა ჩვენმა ცხოვრებამ და რაზედაც ქართველი კაცი ინსტიტუტურათ ელის პასუხს ჭკვიანი ნაწერებიდგან, რიგიანი პიესებიდგან.

ამ ორმა პიესამ აშკარათ დაგვანახა, რომ ჩვენი საზოგადოების ძირღვიში გამჭვდარა ორნაირი სურვილი ბრძოლისა — ბრძოლა ხალხის ევროპიურ სამართლიანობის დასაფუძნებლათ და ბრძოლა . . . უსამართლობასთან, ბრძოლა . . .

ეს არის ორი უდიდესი შინაარსი ჩვენი ხალხის სურვილისა. გზა, რომელსაც მიაღდა ჩვენი თეატრი მსოფლიო შემთხვევით, არის წმინდა, სუფთა და ფართო. ამ გზას უნდა დაეჭაფგუროს ქართული თეატრი, რომ შემთხვევით ვი არა, სრული პრინციპით, ტენდენციურათ დაარსოს თავისი საქმე მასზე. ეს გზა ისეთი ვრცელი და განიერია, რომ

არც ჰქონდა შიშით მისი გაკლას არ მოხერხდება. ამ ტემპ-ზე შეიძლება ივარჯიშოს ჩვენმა ჰეკამ ათ-ასი ვარსკვლავით, მუდამ დღე. და არც კია წარმოსადგენი, რომ ეს მაღალი ტენდენცია მოსწყინდეს ვისმეს. რის მოსწყინდეს! ეს ტენდენცია უფრო გაძლიერებს ხალხის ინსტიტუტურ მიდრეკილებას, შეასხამს მას ცხარე და განვითარებულ აზრს, რომელიც გამაგრდება თავის დროზე,

რაც გინდ მშვენიერი იყოს სურათი ჩვენი ცხოვრებისა, მაინც თუ ის არის უბრალო სურათი, ქართველი კაცის შეხედულებით, ამ სურათს არ შეუძლიან იქონიოს ჯეროვანი ყურადღება ჩვენი საზოგადოებისა; აგრეთვე რაც გინდ უხელოვნოთ, უესტიტივოთ იყოს ქართულ ცხოვრებაში გატარებული ერთ-ერთი აზრი ზემოთ მოყვანილი კატეგორიისა, მაინც ზიესა მოახდენს ძლიერ შთაბეჭდილებას ქართველ საზოგადოებაზედ. ჩვენსთანა ხალხს ჯერ საქმე უნდა მისცე სკოლაში, ნამდვილი ხორც-შესხმული საქმე, ძვირადი აზრი, ღონივრული იდეა, რომელიც სვდება იმის ძვალსა და რბილს, და მერე, როდესაც ამ საქმეს მიეჩვენება, გაუფხდება არსებაში, მერე შეგიძლიან უფრო ნაწი გრძნობების გამდიდრებელი სურათები წარუდგინო, და მაშინ ისიც დააფასებს მათა და დააკმაყოფილებს ჩვენებურ ესტიტივოსებს. ჯერ კი ამ უკანასკნელებისთვის არა სცაღიან იმას.

ჭო, და ეს განონი ნელ-ნელაობითი ფენის ადგილისა, განონი ხალხის თან-და-თანობითი გახსნილობისა აუცილებლათ უნდა ჩვენდეს თეატრს სახეში და არ გადასტებოდეს სოლმე

წინა, თორემ შეეძლება ნასტრომი და მეტე, მშვიდობით სალ-
ხის თანაგრძნობაჲ!

შეძებო უფრო ვრცლათ მოვილაპარაკებთ ამ საგანზე-

სტ. ქრულაშვილი.



„იველის“ კორესპონდენცია კახეთილგან.

მეტათ მხელა კორესპონდენტობა იმ მხარეში, სადაც არ ესმით კორესპონდენტის მნიშვნელობა და სადაც ყოველის მართლის სიტუაციისთვის საცოდავს კორესპონდენტს ხან ხანზედ ეშუქებინ, ხან საზურხობილში ჩასმით, ხან ცუდით და ხან — ვინ იცის რითა!... მართალი სიტუაცია რომ სთქვას მოხელეებზე — თავის თანამდებობას რიგინათ ვერ ასრულებს და კარგი იქნებოდა, რომ კარგად, კეთილ-სეინიდიანათ ასრულებდეს თავის საქმესა — მაშინათვე მოგვარდებიან — „როგორ ბედავ მაგის თქმასო? შენ მართებლობის წინააღმდეგი ხარ; მმართველობას ჰკიცხავ და, თუ კიდევ ხმა ამოგიღია, — იქ გაგზავნით, სადაც ბევრნი მიდიან და საიდგანაც ფრიად მტრედნიდა ბრუნდებიან“!!!... მოდი შენ ესლა და სთქვი რამე რომელსამე მოხელე გვამსე! მეტადრე მაშინ არის კორესპონდენტი შესაბრაღისი, რომელსაც რედაქტორიც თანაუგრძნობს მოხელეს „ხარისხისა და სახელის გამო“ და ერთს სადილზე ჰყიდის თავის კორესპონდენტს... მაგრამ ამასზედ შეუძლებ... ცალკე მოვილაპარაკებთ... კორესპონდენტს ხშირად არც მხარეულებს აკლია; მეტადრე მაშინ, რომელსაც მისი ნაწერი გულში ხვდება კუთვნილებისძებრ (რასაკვირველია, მართალი სიტუაცია მოქმედებს ზ ხვდება მწარეთ, თორემ ტყუილზე მხოლოდ თავ-ქაჩინები ცხარობენ და ან ვინ მიაქცევს



უფრადღებსას) და რადესაც კორჩესპონდენტის ვინაობა ფსევდონიმით არის დაფარული, — მასშინ უნდა უფროთ, რა ჩიქლი და ძეხნა-ძიებაა კორჩესპონდენტის მისაგებათ! „რაკვრი კორჩესპონდენციაა ეს!“ გეტყვის ჯაშუში, „უთუოთ შენი დაწერილია აი, თორემ სხვა აბა ვინ დასწერდა ასე კარგად, — შენია განა!“? გკითხავს ჯაშუში მაცთურის დიმილითა. მაგრამ კორჩესპონდენტმა იცის, ვისთანაც აქვს საქმე, და შესაფერს ზასუს აძლევის... მეორე რიგი ჯაშუშებისა სულ სხვა ნაიხათ იქცევიან: რამ კერასფერს განწყობენ, გულ-დაწყობები იმანინ: „თქვენს სტატიას რადგან წავიკითხავ, განა იმისათვის დროს დაკვარავ?!“ მაგრამ უნდა იცოდეთ, რამ იგინი, თავის დღეში რამ გახეთი არ აელისთ ხელში, თავის და თავის დასის ხალხის შესახებ კორჩესპონდენციას კი უჭკეკლათ წავიკითხავ... რადიოდუ მართალი სიტყვაა რამ ვსთქვას, ეწეინებათ ზოგიერთა ვაჟბატონებსა... მაგრამ ჩვენ რას დავსადევთ, დავიწყეთ საკორჩესპონდენციო ამბები, რამეღნიც ისე მრავალია, რამ არც კი ვიცით, საიდან მოკვებით!

გახეთში თამადამ იცის — უფროსისაგან დაიწყებს სოლმე სადღეგრძელოსა და ერთმა თელავკელმა „დამურამ“ კიდევ ასე იცის: გზაზე რამ ათი ნაცნობი შესხდეს ერთათ, იგი ამარჩევს მათგან უფროსს (წოდებით ანუ ადგილით) ჭ მხალად მას ეტყვის თავის დაკვრით: «*№№ Мое Вамъ почтение!*» სხვებს კი ხმასაც არ გასცემს და გაივლის.

რადგანაც თელავი მთელი მზრის უფროსია, დავიწყებ მეც თელავიდან. თელავში შემოსავალი გზა პოლოლანთ კართან, თ. შაქრე ვ — შეიღის ბადის თავში, რათ იყოფა: მარცხნივ თელავში შეღის და მარჯვნივ კი მიემართება გომბორ-თიანეთისაკენ. ეს უჩანსხეული გზა, — ერთათ ერთი გზაა,

რომელზედაც უნდა იარაღს მთელმა კახეთის ხალხმა. თითქმის თელავში მიმავალი ხალხიც ამ უკანასკნელს გზასა რჩეობს, წადგანაც პირველი ფრიად აღმართია, მეტადრე სამთარში, რომელსაც სრულიად მოიუინება. და ეს ერთათ ერთი გზა საფრუელიდგან მოკიდებული შეკრულია, წადგანაც ერთს ალაგს ბატონის წყაროს რუსგან ისეთ ნაირათ არის დახრამული, რომ ურკში კი არა, ცხენიც კვლავ დაიარება! ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ამ სამთარში საქონლის გაჭირება უინუფლებად თელავისა და ბატონის-წყაროს აღმართზედ! საკვირველია: ერთის მცირედის ბოგიჩის მეტი არა უნდა რა, რომ ეს გზა გაინსნას, და ხალხი და საქონელი ამ აღმართს ააშორონ, და ამის გაკეთება, არ ვიცი, ვერ მოუხერხებიათ—თუ არ უნდათ! მეც ერთი თელაველი თავადი თურქე კისრულაობდა: „მუშები მომეცით და მე გავაკეთებ“. მაგრამ მისი კეთილი თხოვნა და განზრახვა დარჩა „ხმად ძლავლებულისა უდაბნოსა შინა“. მე არ ვიტყვი, ვინ არის ამ საქმეში დამნაშავე, წადგანაც უკვლავ გრავად მიხვდება, ვისი ვალიც არის ამ უწყესობის მოსპობა; მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ დიდათ საჭიროა სხვებულის გზის დაუფრკვნილებივ გაკეთება.

იაჩნეთ ესლა ბუშათის (თელავის ნაწილია) ორ-ღობებზე, რომელსა საშინლათ არიან დახრამულნი: ქვეითი კაცისთვისაც იგასჭიროა, მეტადრე ღამე, ამ გზასუ სიარული. და რა ბუშათი! დაიარეთ თელავი „აღმა-დაღმა, ზვეით-ქვეით“, უმეტესი ნაწილი გზებისა უხეიროა. მაგრამ ვინ კითხულაბს, თუ თელავის დაბალი მუშა და ხელისანი ხალხი უგზოობით დიდ გაჭირებაში არის! სხვა რომ არა იყოს რა, შეშის ატანას ამ გვარ გზასუ ძვირი: უგზოობა ურემს შეშას ჩვეულებრივ ღასს ერთ მანეთს მაინც უმატებს და ერთი მანათი რომ დიდი რამ არის მუშა



კაცისთვის—გგონებ ეს ყველასათვის ცხადია. უჩიგო არ იქნება, რომ ამ საქმესაც უურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, რომ გზის გაკეთებით ცოტათი მანტ გაუადვილდეს ღარიბს საფხს საზრდოს მოპოვება...

თელაველი ყასბები გათამამებული არიან, რომ არ შეიძლება! ქალაქმა თავის საზრდით ქალაქს გარეთ გააკეთა საკლასისხეობა ჩაქდასი პოლიციის ბრძანებით და ყასბები გი ვერ გაიყვანეს იქ ესენი ისევე რიყეს, შუა თელავში, ქსოცვენ საკლასია. ესლს, სამთარში კიდევ ჭო, მაგრამ საფხულში მეტათ ყარს ხოლმე იქაურობა. ესოებსაც ბეგრან ეჭირება გასუფთავება. ყველს ამასე მიექცევთ უურადღებას თელავის სანიტარებისას, პოლიციისას და ყველასას, ვისაც შეეხება. ჩვენი საქმე ის არის, რომ დავანახეთ ნაკლულებანება და შესრულება თვითონ იცინ. ჯერჯერობით თელავსე ამას ვაკმარებთ და ასლს გავისეინროთ თელავის მარის ზოგიერთს სოფლებისაკენ.

1879 წელს, რომელსაც თელავის მარის უფროსად თ. ნ. ჩ—შვილი დანიშნეს, კახეთის ყველს საზოგადოებას ფიცხელი ბრძანება ქონდათ მიცემული მარის უფროსისაგან, რომ ყოველს სოფლის საზოგადოებას თავის სოფლის გზები გაესუფთავებინათ და გაკეთებინათ. ამისათვის თვითელს სოფელში დანიშნული იყო სანიტარული კომისია თავს-მჯდომარითურთ. ეს განკარგულება, რსაკვირველია, გონიერი და დიდად მოსაწონია და მართლაც ამ ბრძანებას უქმად და უნაყოფოდ არ ჩაუვლია: გზების კეთება დაიწეს; გაკეთდა მრავალი გზებიც და, კიდრე ადმინისტრაციას მხურვალე მონაწილებას იღებდა ამ საქმეში და უურადღებას აქცევდა, საქმეც მარდათ და კარგათ მიდიოდა. მაგრამ, საუბედურროთ, ადმინისტრაციის

მონაწილეობა ამ საქმეში შესწავლა და გზების მუშაობაც დადგა. რაც გზები იყო გაკეთებული, — ისინიც უუურავდებოდათ. გამომავალი იყო გაფუჭდნენ და ხალხის შრომაც გატეხდა. უკვე აღსანიშნავია, აღმინისტრაციას რომ თვისი მონაწილეობა არ შეეწყვიტა ხსენებულს საქმეში, — დღეს თელავის მაზრის ეკვლას სოფელს საუკეთესო და სამაგალითო გზები ექნებოდა; და რამდენათ სასარგებლო იქნებოდა, ეს უკვე კარგათ უწიით. ვითომ ხალხის ბრალი იყოს გზების მუშაობის შეჩერება — ტყვილია. ხალხმა დიდი თანაგრძობა გამოუჩინა იმ კეთილს საქმეში თ. ნ. ჩ. — შვილს და ერთგულად მიჰყო სული მუშაობას: ასე რომ თავის ნებით გამოდიოდა სამუშაოდ და დიდს მადლობასაც უძღვნიდა ამ საქმის დამწყებს. თვით აღმინისტრაციამ რათ მოსწონო თვისი მონაწილეობა ამ საქმეში — ამისი, სწორე მოგახსენოთ, არა ვიცი რა. იქნება იმიტომ, რომ ამ საქმის დაბოლოება, დამთავრება სოფლის უფროსებს უნდა ეკისრნათ (სელსკი ნაჩაღნიკებს, სშირად იგინიკე სანიტარების თავსჯდომარენი). მაგრამ აღმინისტრაციას ეუფლებინა, რომ ჩვენში საზოგადო მომჭირნე გვითა სიღარბეა, რომ მათი რიცხვი ისე მცირეა, და სანატრელია, რომ ამ უმათ თვითუფს მაზრაში რჩი-სამი მანტ გუყვანდეს. ჯერ დიდი ჯამაგინის მეჭონენი რას გვიკეთებენ, რომ უსასყიდლოთ მოკვლადეთ ვისგანმე რასმე! თუ მანტა და მანტა აღმოჩნდნენ რომელნიმე პირნი — ჩვენ ვიკისრებთ ამ საქმესა — იგინი არიან სიტყვით მომჭირნენი საზოგადო საქმისათვის და საქმით ვი უფრო თავისათვის მომჭირნეობენ.

მართალია, ვინც საზოგადოებისათვის მომჭირნეობს, — იგი თავისათვისაც მომჭირნეობს, მაგრამ ჩვენ უკუღმა ვაძობთ. ზოგს მათგანს სრულიად არ ესმისთ თვისი მოვალეობა, არ

ესმისთ გზებისა და საზოგადო სუფთაობის მნიშვნელობა ადამიანთა ცხოვრებაში და ვისაც ესმის — სულ სხვანაირათ ხმაწლებს თავის „სმენას“. აი, თუნდ მაგ. სოფ. ენისული ავი-
ლათ. აქ შუა სოფლის გზა-ტყევილი და ერთი ქუჩა გა-
